მა მე და ყვედრებანი მაყვედრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემზედა.

წყდება: თვით მას კარავსა და ყოველსა მას ჭურჭელსა სა-
მსახურებელისასა აგრეთვე მსგავსად სისხლი ასხურის და კნინდა
ყოველივე იგი სისხლითა განსწმდებოდა მსგავსად სჯულისა.

596

ლოცვა

13 ფ.; 19,5×14; ქალღვთი; უყდო (დამილი); თავნაკლული; მხედ-
რული; XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლი-
კეთა სავარდის ეკლესიიდან.

დასაწყისი: სულო წმიდაო, ღმერთო, [ვედრე ჩვენთვის];
წმიდაო სამებაო, ერთო ღმერთო,
წმიდაო მარიაო, ვედრ[ე ჩვენთვის].

ბოლო: ეამსა კურთხეულ ვნებათა შენთასა განვლო მახვილ-
მან სიმწარისამან, რომელი ცხოველ ხარ და სუფევე ღმერთი მამის-
თანა, ერთობითა სული წმიდათანა ღმერთი უკუნითი უკუნისამ-
დე, ამინ.

597

ეამის ლოცვა

60 ფ.; 22×17,5; ლურჯი ქალღვთი; უყდო; მხედრული (სათაურები
და თავ-ასოები წითურით); XIX ს. I-ლი ნახევარი. (ხელის მიხედვით); შე-
მოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

სათაური: ეამის ლოცვა ვნების კვირისა დიდ ხუთშაბათის
განთიადისა იესოს სატანჯულისა.

დასაწყისი: ა. მამაო ჩქნო, ა. გიხაროდენი; ა. მრწა--
ნსი. პირველი სახუმლიაგისა, შურმან სახლისა შენისამან შემკამა:
შე და ყუშდრებანი მაყუშდრებელთა შენტანი დამეცნეს ჩემ ზელა--
ბოლო: ლოცუა, ღმერთო, გევედრებით მოხედე ერსა შენსა
ამას, რომლისათვის ჩქნო უფალი იესო ქრისტე მიეცა ჰელთა ცო-
დვილთასა სტანჯუად და ჯუარცმად, ამინ.

598

ღვთისმშობლის ტისკრის საბალოგლავი

22 ფ.; 22,2×17,7; ქალაღი; უყდო; ბოლო-ნაკლული; მხედრული
(სათურები და თავასოები წითურით); XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსუ-
ლია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიადან.

სათაური: ყოვლად წმიდის ტისკარი.

დასაწყისი: მამაო ჩვენო (ღუმლით).

მგალობელი: უფალო; ბაგენი ჩემნი აღახვენ.

მიგება: და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა.

წყდება: შენდამი ღაღადებენ ყოველნი ანგელოზნი, ცანო-
და ყოველნი საყდრობანი...

599

მოხსენება მიცვალებულთა

20 ფ.; 22×17,7; ქალაღი; უყდო; მხედრული; XIX ს. (ხელის მიხედ-
ვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიადან--

დასაწყისი: მოხსენება ყოველთა მორწმუნე მიცვალებულ-
თა 2-ს ნოემბერს.

პირველს მწუხრსა.

ალილუია. სათნო ვეყო წინაშე უფლისა სოფელსა შინა
ცხოველთასა.

ბოლო: და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს.
ჩემი, არა მოკვდეს იგი უკუნისამდე.

მამაო ჩვენო და სხვა, ვითარცა პირველ მწუხრისა.

600

ნათლისღების ლოცვა

23 ფ.; 22,2×17,7; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1876 წლის ახლოს;
შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიადან.

სათაური: გამოცხადება უფლისა, 6 იანვარს, პირველ მწუხრსა.

დასაწყისი: ალილუია. მთიების წინა შობილი და უწინარეს საუკუნობათა უფალი მაცხოვარი ჩვენი დღეს ქვეყანასა გამოჩნდა, რქვა უფალმან, ფსალმუნი 109.

წყდება: ვარსკვლავი იგი, რომელი იხილეს მოგუბმან აღმოსავლით, წინა უძლოდა მათ, ვიდრე მოვიდა.

შენიშვნა: ხელნაწერი დაწერილია იმავე ხელით, როგორც 601.

601

მწუხრსა და ტისპარაჲ მიცვალებულთა მოსახსენებელი

31 ფ.; 22,2X17,7; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1876 წ.; შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

სათაური: მოხსენება ყოველთა მორწმუნე მიცვალებულთა ნოემბერს. ნოემბრის პირველს არს რა დღესასწაული ყოველთა წმიდათა, საღამოს ითქმის ვესპრო ყოველი წმიდანებისა და შემდგომ ადიდებისა ითქმის რა—უგალობდით უფალსა, ფიცხლავ იწყების ვესპრო ყოველთა მიცვალებულთა შემდეგისა დაწერილისა.

დასაწყისი: პირველს მწუხრსა ალილუია. სათნო ვეყო წინაშე უფლისა სოფელსა შინა ცხოველთასა. ფსალმუნი 114. შევიყვარე, რამეთუ ისმინოს უფალმან ხმაჲ ვედრებისა ჩემისა.

ბოლო: მგა. და ნათლითა სამარადისოთა განანათლენ იგინი. რცი განისვენოს მშვიდობით, მგა, ამენ.

ანდერძი: ეს წიგნი აღწერილ არს გრიგოლ ქაჩუხოვისაგან რომის კათოლიკე შკოლისთვინ. 1876 წელსა ოქტომბრის 25.

602

დღესასწაულთა საგალობლები და საკითხავები

143 ფ.; 22,2X17,7; ქალაღი; უყდო; ბოლო ნაკლული; მხედრული; XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

სათაური: 1 ნოემბერს დღესასწაული ყოველთა წმიდათა.

დასაწყისი: პირველს მწუხრსა. ვიხილე ერი ფრიადი, რომლის აღრიცხვად არავინ შემძლებელ იყო ყოველთაგან წარმართთა მდგომარენი წინაშე საყდრისა.

წყდება: მგალობელთა: სიტყვა იგი ხორციელ იქმნა და

დაიმკვიდრებს ჩვენ შორის და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება, ვითარცა მხოლოდ შობილისა მამისა მიერ სავსე მადლითა და კემპარიტებითა, რომელიც (?) ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვი-ნიერ.

შენიშვნა: ხელნაწერი შეიცავს შემდეგ დღესასწაულთა საკითხავებსა და საგალობლებს:

1. ყოველთა წმიდათასა, 1 ნომებერს (ფ. 1r—25v).
2. კლემენტოს პაპისა, 23 ნომებერს (ფ. 26r—33v).
3. ქრისტეს შობისა, 25 დეკემბერს (ფ. 34r—126v).
4. მოწამისა სტეფანესი, 26 დეკ. (ფ. 126—140v).
5. იოანე მახარებელისა, 27 დეკემბერს (ფ. 140v—144v).

შენიშვნა: აღნიშნული საკითხავ-საგალობლები კათოლიკების ტი-ბიკონის არიან.

603

სადღესასწაულო (კათოლიკე ეკლესიისათვის)

279 ფ.; 20,8×17,5; ქალაღი; ყდაში; მხედრული (სათაურები წი-თურით); XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათო-ლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

დასაწყისი: ჰრქვა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარ-ჯვენით ჩემსა, ვიდრემდის დაეხსნე მტერნი შენნი ქვეშე ფერჯთა-შენთა.

ბოლო: დიდება მამას და ძესა და ნუგეშინის მცემელსა თა-ნასწორ ქება, რომელთა მოგვცენ საუკუნო დიდება.

შენიშვნა: კანის პირველ გვერდზე სხვა ხელით სწერია: დაწერილი-ლუკა პეტრეს-ძე ქურჭიბაშვილისაგან.

ხელნაწერში მოთავსებულია შემდეგი დღესასწაულთა საკით-ხავ-საგალობლები:

1. ფსალმუნები (ფ. 1r—3v).
2. კურთხევანი პირველ სახმილავისანი (ფ. 4rv).
3. ქალწულის მარიამის ჩასახების, 8 დეკემბერს (ფ. 5r—10v).
4. შობისა უფლისა (ფ. 11r—22v).
5. წმიდისა სტეფანესი (ფ. 23r—29v).
6. იოანე მახარებელისა (ფ. 30r—35r).
7. უმანკო ყრმათა (ფ. 35v—37v).
8. კვირჩაქესა შემდგომად ქრისტეს შობისასა (ფ. 38r—40).
9. სილიბისტრო პაპისა (ფ. 40r—43).

10. წინადაცვეთისა უფლისა (ფ. 44r—49r).
11. წყალ კურთხევის წინა დღისა (ფ. 49v—54r).
12. გამოცხადებისა უფლისა (ფ. 54v—65r).
13. კვირიაკესა შემდგომად წყალ კურთხევისა (ფ. 65r—67r).
14. კვირიაკესა მეორესა შემდგომად წყალკურთხევისა—დღე-სასწაული ქრისტეს სახელისა (ფ. 67v—70r).
15. მირქმისა უფლისა (ფ. 71r—80v).
16. შვიდი ლახერისა (81r—87r).
17. წმიდისა მამისა იოსებისა (ფ. 88v—97v).
18. ხარებისა (ფ. 98r—107v).
19. აღდგომისა უფლისა (ფ. 108r—118r).
20. კვირიაკესა შემდგომად აღდგომისა—მფარველობასა წმი-ღისა მამისა იოსებისა (ფ. 115r—117v).
21. ამალღებისა უფლისა (ფ. 118r—127r).
22. კვირიაკესა შემდგომად ამალღებისა—კვირიაკესა სახმი-ღაებისა (ფ. 127v—137v).
23. ჯვარის პოვნასა ზედა (ფ. 130r—133v).
24. სულს წმიდის მოფენის (ფ. 134r—146v).
25. სამების დღესასწაულის (ფ. 147r—154r).
16. ზიარების დღესასწაულისა (ფ. 154v—167r).
27. იოანე ნათლისმცემლის შობისა (ფ. 167v—177v).
28. პეტრე-პავლობის (ფ. 177v—191r).
29. მოკითხვასა ზედა ელისაპედისასა (ივლისის; 2 დღ.) (ფ. 191r—196).
30. ქარმელის მთის ნეტარის ქალწულის მარიამისა (შალის დღესასწაული. ფ. 196r—198r).
31. დღესასწაულსა ზედა უწმიდესი მაცხოვრისა (ფ. 199r—203r).
32. კურთხევისა მარიამ დედოფლის საყდრისასა (ფ. 203v—208v).
33. ფერისცვალების (ფ. 209v—211v).
34. ყოვლად წმიდის მიცვალების (ფ. 212r—217r).
35. კვირიაკესა შემდგომად მიცვალებისა მარიამისა—შობასა მამისა მისისა იოაკიმესა (ფ. 217r—221v).
36. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის (ფ. 222r—224v).
37. ლთისმშობლის შობის (ფ. 225r—230v).
38. ჯვარის ამალღების (ფ. 231r—233r).
39. ყოველთა წმიდათასა (ფ. 334r—238r).

40. ლთისმშობლის მფარველობას (ფ. 238v).
41. ტაძრად მიყვანებასა ლთისმშობლისასა (ფ. 248v—242r).
42. წმიდისა იოსებ ლეონისა (ფ. 242r—243v).
43. მოციქულთა ფილიპესი და იაკობისა (ფ. 244r—246v).
44. წმიდისა პასკალისა (ფ. 247r—248v).
45. წმიდისა ფელიწისა (ფ. 249r—250v).
46. წმიდისა ბერნადინესი (ფ. 251r—252r).
47. წმიდისა ანტონისა (ფ. 252r—254r).
48. წმიდისა ბონავენტურასი (ფ. 254r—256r).
49. იაკობ მოციქულისა (25 იელისს, ფ. 256v—258v).
50. წმიდისა ანასა (ფ. 258v—260v).
51. წმიდა პეტრეს ჯინჯილთა (ფ. 261r—262v).
52. წმიდისა ლავრენტიოსისა (ფ. 263r—266r).
53. წმიდა ფრანჩისკეს დაკოდილებათა (ფ. 266r—269r).
54. წმიდა მათე მოციქულისა (ფ. 269r).
55. მიქელ მთავარ ანგელოზისა (20 სექტემბერს; ფ. 269v—272v).
56. (კიდევ) წმიდისა ფრანჩისკესი—სწორსა ზედა (ფ. 273r—276r).

შენიშვნა: 1. ბოლოში დართული აქვს ნაწარმოებთა საძიებელი, ფ. 276v—277v.

2. შესხმა იესოსი:

პრო მეტეო, საუკუნო დიდებისაო, დღეს მოსწყდბ სიკუდილით, იღებ გვირგვინსა უფლებისა, დიდებისა, ძღვევისასა (ფ. 278v—279r).

604

სადღესასწაულო (კათოლიკე ეკლესიისა)

294 ფ.; 23,6,6x16,3; ქალაღი; ყდაში; მხედრული (სათაურები და თავასოები წითურით); XIX ს-ნის დასაწყისი (ბელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

დასაწყისი: კურთხევეანი პირველი სახუმიღავისანი.
ახსნა.

შეისმინე, უფალო, იესო ქრისტეო, ვედრებითა მონათა შენთათა.

ბოლო: დიდება მამასა და ძესა და ნუგეშის (!) მცემლსა, თანასწორ ქება, რომელთა მოგვცენ საუკუნო დიდება, ამინ (ფ. 5r—294v).

ანდერძი; დასრულდა წიგნი ესე სადიდებლად ღმრთისა კელითა ყოვლად უღირსი ანტონასითა.

(ტექსტის ხელით, ფ. 293v).

შენიშვნა: (სადღესასწაულოს წინ მიუძღვის პირველ 4 ფურცელზე საგალობელი, ბოლოში კი (ფ. 294) დართული აქვს „საძიებელი გინა ხანდუი“.

2. ამ სადღესასწაულოში მოთავსებულია იგივე საკითხავ-საგალობლები, რაც ხელნაწერ № 603-ში..

605

ლოცვანი (კათოლიკეთა)

261 გვერდი; 21,5×17,5; ქალაღი; ყდიანი; მხედრულია (სათაურები და თავასობები წითურით); XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსული 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

სათაური: ჟამის ლოცვა ვნების კვირისა დიდ ხუთშაბათის განთიადისა: იესოს სატანჯველზედა, მამაო ჩუშნო, ა გიხაროდენი, ა მრწამსი.

დასაწყისი: ა. შურმან სახლისა შენისამან შემჰამა მე და ყვედრებანი მაყუძრებელთა შენთან დამეცნეს ჩემ ზედა.

ბოლო: გვედრები, რათა ამით გამწმიდო მე ცოდვათა ჩემთაგან და განმადღიერო და მექმნას მე ესე სულისა სარწმუნოებინა და სიყვარულისა.

ხელნაწერში მოთავსებულია შემდეგი საკითხავ-სალოცავები:

1. ჟამის ლოცვა ვნების კვირის დიდი ხუთშაბათის (ფ. 1r—26v).
2. ჟამის ლოცვა ვნების კვირის დიდი პარასკევისა (ფ. 55—96).
3. ჟამის ლოცვა ვნების კვირის დიდი შაბათის (ფ. 97—121).
4. დიდს ხუთშაბათსა და პარასკევს მწუხარზე სათქმელი ფსალმუნები (ფ. 121—128).
5. ჟამის ლოცვა მიცვალებულთა (ფ. 129—165).
6. შუა დღის ლოცვა (ფ. 165—170).
7. საღამოს სავარდის ლოცვა (ფ. 171—196).
8. აღდგომის შაბათის საკითხავნი (ფ. 198—229).
9. მარტიროლოგიის საკითხავი წინა დღესა შობისა იესო ქრისტესა (ფ. 229—247).
10. დილის ლოცვანი (ფ. 243—251).
11. ვარდობის სავედრებელი ლოცვები (ფ. 251—261).

ხალქისაწაულო (კათოლიკეთა)

268 ფ.; 24×16,5; ქალაღი; ყდაში; მხედრული (სათურები და თავასობები წითურით); ტექსტში არის 44 მინიატურა ფერადებით მდარე ხელობის; XIX ს-ნის დასაწყისი, (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

დასაწყისი: კურთხევეანი პირველი სახუმილავესანი. ახსნა. შენისმინე, უფალო იესო ქრისტეო, ვედრებათა მონათა შენათა.

ბოლო: დიდება ზამასა და ძესა და ნუგეშინის მცემელსა თანასწორ ქება, რომელთა მოგვეცენ საუკუნო დიდება.

შენიშვნა: 1) სხვა ხელით გვ. 524—525 მოთავსებულია ლოცვა.

2) გვ. 529—530 საძიებელი;

3) გვ. 532—536 ლოცვა. ბოლოში მინაწერი: ეს წიგნი მართალი მეტყველი, ქრისტიზობისთვის 3-საწელს 1819.

4) კანის პირველ ფურცელზე სხვა ხელითვე; ეს საღლესაწაულო წიგნი არის ახალციხის პატრების ეკლესიისა, ყოვლად წმინდის საღდრი-სა. ვინც დამალოს და არ მისცეს, ყოვლად წმიდამ რისხოს იგი (ესევე მიწერილია რუსულად შეცდომებით და სომხურად).

5. ხელნაწერში იგივე საკითხავებია, რაც № 303-ში.

607

გოდება

76 ფ.; 21×17; ქალაღი; ყდაში; მხედრული; 1867 წ.; შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

დასაწყისი: ლოცვა ვნებისა დიდ ხუთშაბათს განთიადს სათქმელი.

პირველი სახუმილავეი.

ა. შურმან სახლისა შენისამან შემქამა მე და ყვედრებანი მაცვედრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემ ზედა.

ბოლო: მას ახლავს პირუტყვენი ერთი ხარი და ერთი ცხვარი, რომ ჰმონებენ ყოველნი ანგელოზის დასნი.

შენიშვნა: ხელნაწერს სათურად აქვს გოდება. ახალქალაქი ჩყმზ-ვ-შ (ე. ი. 1867 წ. 3 აგვისტოს), უმცირესის მონის აღექსანდრე მეფისთვის შრომით.

608

სამკლესიო-სასწავლო წიგნი

47 ფ.; 19,7×16; ქალაღი; ყდაში; მხედრული (სათურები წითურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის სავარდის კათოლიკეთა ეკლესიიდან.

სათაური: უწყებულება სასწავლო, ვით თანამდებ არს მღვ-
დელი და დიაკონი მსახურებასა წმინდასა ეკლესიასა შინა შეას-
რულოს და გამზადოს სამღვდელო მოქმედებისა მიმართ, ხოლო-
უფროს და სამღვდელთა წირვისა მიმართ. და ვითარნი იმყოფებიან-
ფათერაკნი და უცნობელნი საქმეთა შეხდომანი, ვითარ მას შინა-
წარმართოს წინ დადებული მოკლედ.

დასაწყისი: მადლ მინიჭებული რჯულსა შინა მაცხოვრისა-
ჩვენისა იესო ქრისტესი წმიდისა ეკლესიისა შეიღნი საიდუმლონი.

ბოლო: და ყოველთა წმიდათა მიმართ და განმზადებულსა
კეთილსა ზეცათა შინა შემთხვეთა ყოველთა წმიდათა კეთილ სათ-
ნო ყოფილთა დაუსრულებელსა შინა საუკუნოსა, ამინ.

ანდერძი: (ფ. 47 v. ნუსხა ხუცურით, ტექსტის ხელით): ღმერთო, შეიწყალე
ცოდვილი მღვდელი გარსევანაშვილი ონისიმე. დაიწერა ესე უსტავი სამეფოს
ქალაქსა მოსკოვს, თვესა ივლისსა იე.

609

წინსაღი ქაფუხჩინთ პატრიარქის რიზისაშებრ

209 გვ.; 20,5 x 15; ქალაღი; ყდაში; მხედრული (სათაურები და
თავასოები წითურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ.-
ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

დასაწყისი: პირველი კვირიაკე მოსვლისა. საკითხავი
ეფესტოლე ნეტარისა პავლე მოციქულისა ჰრომაელთა მიმართ.
ძმანო, უწყოდეთ, რამეთუ აწვე არს ეამი განღვიძებად ჩვენდა ძი-
ლისაგან.

ბოლო: ვიდრე ცნობადმდე ყრმისა მის კეთილისა გინა-
ბოროტისა შეურაცხყოს ბოროტი და გამოირჩიოს კეთილი
(ფ. 1 r—196).

შენიშვნა: 1) გვ. 197—208 მოთავსებულია ლოცვები სხვა ხელით.
2) თავში 1—2 ტექსტი შევსებულია სხვა ხელით.

610

ქრებული

124 ფ.; 20,5 x 15.; ქალაღი; ყდაში; თავნაკლული; მხედრული (სა-
თაურები და ზოგან თავასოები წითურით); 1692 წ. (ფ. 103r); შემოსულია-
1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

1—აპოკრიფი, იესო ქრისტეს ანდერძი (ფ. 1—91v).

იწყება: ..ლო და წმიდა არს იგი, არამედ გეტყუით თქვენ-
ხოლო თქვით თქვენ ურთიერთარს ბოროტი მისგან.

ბოლო: სხუანიცა წმიდანი და მართალნი მასთანა გამოიხ-
სნა და ბუნება ჩვენი ზეცასა აღიყუანა და დააწესა შორი სასუ-

ფეველსა. დიდება მოწყალეებასა უფლისა ღმრთისა ჩვენისა იესო ქრისტესა აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ (ფ. 1r—91v).

2. ლოცვები სომხურად ქართული ასოებით და ქართული თარგმანით ორ სვეტად (ფ. 92—102r).

დასაწყისი: ჰავატოვ ხოსტოვანიმ იევ იერეკირ პაგანიემ ქიებ (ფ. 92r—102r).

3. პატრიარქნი ჰრომისნი (ფ. 104).

დასაწყისი: ქ. პეტრე მოციქული ოზდასამი წელი.

ბოლო: ბონიფანტი ცამეტ წელ, ონორი ცხრა წელ (ფ. 104r—106r).

4. პატრიარქნი იერუსალემისანი.

დასაწყისი: იაკობ, ძმა უფლისა, ოზდარვა წელი.

ბოლო: ზაქარია ოზდაორი წელი.

მოდისტოს ერთ წელ (ფ. 106v—108v).

5. პატრიარქნი ალექსანდრისანი.

დასაწყისი: მარკოზ მახარებელი ორ წელ.

ბოლო: გრიგოლ ოზდაოთხ წელ.

ანასტასი სინელი ორ წელ (ფ. 108v—110v).

6. პატრიარქნი ანტიოქისანი.

დასაწყისი: პეტრე მოციქული და წარვიდა ჰრომელსამ წელ.

ბოლო: ანასტასი სინელი ორი წელ (ფ. 110v—112v).

7. პატრიარქნი კოსტანტინეპოლისანი.

დასაწყისი: სტაქეოს, რომელი დაედგინა ბიზინტიას ანდრია მოციქულთაგან ეპისკოპოსად.

ბოლო: კულად ნიკოლა.

თეოფილაქტე, ძე ჰრომანოზისნი (ფ. 112v—117v):

7. მეფენი ჰურიათანი (ფ. 117v—119v).

8. წინასწარმეტყველნი (ფ. 119v—120r).

9. მეფენი ასურესტანელთანი (ფ. 120r—121r).

10. მეფენი მაკედონელთანი (ფ. 121r—121v).

11. მეფენი ჰრომთანი (ფ. 121v—122).

დასაწყისი: იოლის კეისარი ხუთ წელ, აგვისტოს, ძმისწული მისი, ორმოზდათექუსმეტ წელ.

წყდება: დაიგნა მეფობა წარმართთა მეფენი ქრისტიანენი კოსტანტინეპოლისანი. კოსტანტინე დიდი ოზდაორ წელ, კოსტანტინე, ძე მისი, ოზდასამ წელ...

ანდერძი: ქ. წიგნი ქრისტეს ანდერძისა დაეწერე ბაღდასარაშვილმან დავითმან, ცრუ დიაკონმან, სომხური წიგნისაგან მადლითა და შეწყენითა სულისა წმიდითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისათა ღმრთის მშობლისა მარიამისა და,

ძმანო სულიერნო, ვინცა წაიკითხოთ, ანუ აღწეროთ, შენდობა უბოძეთ ამის საბაბსა დაშტელს მელიქისედეს მღვდელს, რომელი იყო კაცი ქეშმარიტი, რამეთუ უწინ ღთისათა და მერმე მისის საბაბით ესე წიგნი აღუწერე და მერმეცა მე დავითას შენდობას ნუ დაგუმაღლებთ და ღმერთმან თქვენცა შეგინდოს თქვენი ცოდვანი და მოიხსენიოს ღმერთმან მამა ჩემი ბაღდარაი და დედა ჩემი მხის-თანდარაი და ძმები ჩემი გულასპა და გასპარაი, ამინ.

აწუე, მამანო და ძმანო, ვინცა აღმოიკითხოთ და ნაკლუნოება რამე იყოს, ნუ დაგუძრახავთ, რამეთუ არა ვიცოდი ქართული წიგნის თარგმანი მართლად და არა არს გულისხმით ნაწერი, არამედ გულისუხმოებით. ამის მეტი ვერ ვათარგმანე. შემინდევით, ძმანო. ქორონიკონს ტპ (ფ. 102v—103r).

შენიშვნა: 1) ფ. 124r მე-17-ს-ნის ხელით მოთავსებულია ლექსად შესხმა გრიგოლ პართელისა. იქვე მიწერილია: ქ. დაიწერა ესე წიგნი ქორონიკონს ტპვ, კვირიკობის რეას გასულს).

2) ფ. 125v მოთავსებულია მე-17-ე ს-ნის I ნახევრის ხელით ლოცვა სომხურად ქართული ასოებით.

611

ღაჰითნი

161 ფ.; 15,5×11; ქალღი; ყდაში; მხედრული (ზოგან სათაურები წითურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

იწყება: დავითისა.

ყუაე და მისმინა მე მითთ წმიდით მისით.

მე ვჰრულე და დავიძინე და უფალი შემწყნარებულ ჩემი არს.

ბოლო: შეეწია ისრაელსა, მონასა თვისსა, მოხსენებად წყალობისა, ვითარცა ეტყოდა მამათა ჩვენთა აბრაჰამსა და ნათესავსა მისსა საუკუნო.

შენიშვნა: 1) ფ. 156v—161r არის სარჩევი.

2) ფ. 161v მოთავსებულია ლოცვა.

3) ფ. 98v ტექსტის თავში არის შემკულობა.

612

ლოცვათა წესი

118 ფ.; 15,6×11,5; ქალღი; ყდაში, თავბოლო ნაკლული; მხედრული (სათაურები და თავასოები წითურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

იწყება: მოქმედება ვქნა და უმფროსად ვიმკვიდრებ გულსა შინა ჩემსა მოქცევასა ჩემსა სიცრუისაგან და რისხვისაგან.

წყდება: და არა დედის გლოვა თავის შვილზედ ეტოლება შენს გლოვარობას. აჰ, საყვარელო დედავ, შენ ჰგლოვ შენს შვილსა რომ გიშობია და მე ვიცი...

ლოცვანი

48 ფ.; 17,5×11; ქალაღი; ყდაში; თაენაკლული; მხედრული; XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

იწყება: სჯულისა მისებრ მოსესისა; აღმოიყვანეს იესო წარდგინებად უფლისა და სვიმონ მიირქვა მკლავთა თვისთა ზედა.

ბოლო: და ნეტარ არიან ძუძუნი, რომელთა სწოვდა ქრისტე უფალი. ჩვენ თავის სახიერ ძეს თანა გვაკუროთხოს ჩვენ ქალწულმა მარიაჲმან, ამინ.

შენიშვნა: ბოლოში დართული აქვს საძიებელი (ფ. 47r—48v).

ლოცვანი

38 ფ.; 11,2×9,2; ქალაღი; ყდაში; მხედრული (სათაურები და თავასოები წითურით); XX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

დასაწყისი: მწუხარების სავარდე. მწუხარებისა საიდუმლო ყოვლად წმიდა სავარდე.

ერთი მამაო ჩენო და ათი გიხაროდენი ვსთქვათ და ვიფიქროთ პირველი საიდუმლო ენებისა ქრისტესი.

ბოლო: წმიდა ზიარების მიღებაზედ. სულმან ხორცმან და სისხლმან უფლისა ჩვენისამან იესო ქრისტესაჲმან დაიცვას სული ჩემი ცხოვრებად საუყუნოდ, ამინ.

ლოცვანი

67 ფ.; 10,3×8; ქალაღი; ყდაში; თაენაკლული; მხედრული XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის ეკლესიიდან.

იწყება: (გვერდი ძლიერ დაზიანებულია) გვეედრებით, ისმინე ჩენი, უფალო, რათა ჩვენ მოგვიტეო. გვეედრები, რათა ჩვენ გვეწყალობდე, რათა ქეშმარიტი სინანულის მიწვეად ღირს ვეყო.

ბოლო: მიხსენ მე ჟამსა სიკვდილისაგან ჩემისასა, მიწოდე მე შენდამი მოსვლათა. მიბრძანე მე, რათა წმინდათა შენთანა გაქებდეთ მე მარადის უყუნითი უყუნისამდე, ამინ.

კრებული

166 ფ.; 20,7×16,7; ქალღი; ყდაში; მხედრული XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია ახალციხის მცხოვრებ პეტრე თამარაშვილისაგან შემოწირულების სახით.

1. გამოცხადება წმიდისა პრიკიტასი (ფ. 1r).

დასაწყისი: მაგალითი იმ გამოცხადების, რომელ პოვნილ იქმნა წმიდა საფლავს ზედა იასო ქრისტესი, რომელიცა აქვსთ ჰრომის წმიდა პაპათა თვისით ოთახთა შინა.

ბოლო: სისხლის წვეთი რიცხვისა მიეცე მათ ათი ნიქი გინა საჩუქარი.

2. ლოცვა მარიამ ღვთის მშობლისადმი (ფ. 1v).

დასაწყისი: ზი, ყოვლად წმიდაო მარიამ, რომელმან ღირს იჩინე გამოჩინებად ძლიერებისა შენისა.

3. გალობა ყოვლად წმიდა მარიამისა (ფ. 2—27r).

დასწყისი: აღვისილ ხარ, ყოვლად წმიდაო, ყოველი მადლით უფლისა.

ბოლო: ვევედრები მაცხოვარსა,

ისმინოს ჩენი ლოცვისა,

ყოველთა შორის უღირსი

ტერ იოსებ ხუციევისა.

4. წარმოსტჰმა ნეტარელი გენო აფეს ცხოვრებასა ზედა (ფ. 30—76r).

დასაწყისი: ესე გენო აფე იყო ასული მდიდარი თავადისა ბაგრიგატნი ქალაქის მთავრისა.

ბოლო: მეოხედ ვყოთ ჩენი სულის,

ღირსი გაეხდეთ მათი შველის;

შეგვეწიოს, ამ სოფელსა,

ღირსი გვეოს სასუფეელისა. ამენ.

5. სახალხო წინასწარმეტყველებანი, მთვარეზედ დაფუძნებული (ფ. 77r—9i).

დასაწყისი: მთვარის პირველს კარგია ყველაფრის თესვა, ნერგვა, საფუძელის ჩაყრა და გზას წასვლა...

ბოლო: 29 (დღეს თვისას) სიზმარი კარგ ანბავს მოასწავებსო. 30—სიზმარი კეთილად ახდებაო.

6. ლექსი მეფე აბესოლომსა(!) და ესთერ დედოფალსა ზედა წარმოსტჰმული, რაიც მოხვდა მათ ცხოვრებასა შინა (ფ. 92—144).

დასაწყისი: წინასიტყვაობა.

ღმერთო, რომელმან დაჰბადე

უფლად ყოველთა კაცება,
შემწედ მას უქმენ გგნრდიდან,
რომლითა მიეცა მას შეება.

ბოლო: ვინცა დაჰფლამს მისსა სხეულს,
სულს მისცემს თავის კვეთასა.
ახლა მიხვდეს უღმრთოს შგკმა,
ძალთა ფრინველთა აკრეფა.
წიგნსა ამასსწერია,
სახელად ეთერი არი,
საქმე თუმცა ყველა ვჰპოვე,
სიტყვა კი არ აზრიანი.
ლექსად თქმულია ყოველდგან,
მაგრამ არა არს წყლიანი.
მე ცდილობითა დავლექსე
სტრიქმონი (!) თექესმეტ ხმიანი.

დოსებ ელიოზისშვილის დალექსილი, პეტრე ბეგილოვის აღწე-
რილი წელსა 1874-სა მაისის 25-სა.

7. ეფიმერდინისაგან გარდმოღებული (ფ. 145—166).

დასაწყისი: თუ რაი არს ცისარტყელა და ან რა მიზეზი.
სათვისა განწესებული. როდისაც იქმნების ერთი გამომეტებული.
წყალობა ღვთისა თავის გაჩენილთათვის, წვიმითა ცისათა მორწყ-
ყავს ყოველთა ადგილთა.

ბოლო: ამ დროსა ჰქვიან სიბერე, გინა მოხუცებულობა და.
თუ კიდევ მეტი იცოცხლა, იმ დროსა ჰქვიან სულთქმა, გინა.
კენესა და საღმობა.

618

წმ. სოფიას წამება

10 ფ.; 18×11; ქალღაღადი; უყდო; ბოლო ნაკლული; მხედრული; XIX ს.
(ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის მცხოვრებ პეტრე თა-
მარაშვილისაგან შემოწირულობით.

სათაჟრი: ცხოვრება და წამებულობა წმიდა სოფიასი და
სამთა ასულთა მისთა—პისტისი, ელპისი და აგაპისა.

დასაწყისი: სოფია თავისი ასულებითურთ ემსგავსების
შამუნესა და ვაჟთა მისთა.

ბოლო: ...სხვა ნაწილიც ფრანციაში და სპანიაში არიან,
რომელნიმე რომ ბრიქსიაში წაღებულსაცა იტყვიან წელსა 1600
(ფ. 1r—8r).

შენიშვნა: ფ. 8r—10 მოთავსებულია ლექსად ქება პოლოს ვართაპეტისა: .

დასაწყისი: გარდაიცვალა 1854-ში კათათვის 23-სა.
პოლოს ვართაპეტის ქება როგორ წარმოვთქვა ენითა;
მას ზედ რომ შესხმა დავიწყო, ნივთებს ვნახამ სიბერითა.
წყდება: უფალმან ნუ დაუქარგოს, ნიჭი მისცეს მადლებისა.
ხარჯის მომცემ და ზედა მდგომს, ვინც იყოს გამრჯელო-
ბასა.

619

ცხენის კარაბადინი

6 ფ.; 25,18; ქალღი; უყდო რვეული; თაე-ბოლო ნაკლული, ნაწ-
ყვეტი; გამურვილი; დახეული; მხედრული; XVIII საუკ. (ხელის მიხედვით);
შემოსულია 1925 წელს.

დასაწყისი: მოიღე ღომი ანუ ფეტვი დაქბილი, მოხარ-
შე ძმრითა ფაფასავით, აურივე ღორის ქონი, თბილ ტილოზედ
გაკარი და ზურგზედ დაადევი დახუთვილზედ.

წყდება: ეგრეთვე დაუმწითებს მეთვე პურის ცომი, შემ-
წუარი ხახვი და ღორის ქონი ერთად არეული უნდა დადვა თბი-
ლი დღეში ო[რჯერ].

620

გადატანილია ლათინურს კოლექციაში

621

ლოცვანი

186 ფ.; 11,8×7,5; ქალღი; უყდო; მხედრული; XIX ს. (ხელის მიხე-
დვით); შემოსულია 1925 წ. პეტრე თამარაშვილისაგან (ახალციხე).

დასაწყისი: ლოცვა ყოვლად წმიდა სამების მიმართ
სათქმელი. თაყვანს გცემ შენ, ზი მამაო ზეციერო, ღმერთო ქეშ-
მარიტო.

ბოლო: მეათედ იხილოს ყოვლად წმიდა მარიაში თვისი
სიკვდილისა წუთს თვალითა თვისითა.

შენიშვნა: ფ. 184v—186 მოთავსებულია სარჩევი, რომლის ბოლოში
სწერია: აქ დასრულდა საძიებელი, ორმოცდასამი ლოცვისა თავიანთი ნუმ-
რებითა ხელისაგან პეტრე ბეგილოვისა.

622

გადატანილია ხომხურს კოლექციაში

ქალაგებანი

514 გვ.; 17X11.7; ქალაღი; ყდაში; მხედრული; 1799 წ.; შემოსუ-
ლია პეტრე თამარაშვილისაგან 1925 წ. (ახალციხე).

დასაწყისი: რადგან ყოელად წმიდა მარია მ აღმალღდა
მეფედ მეფისა დედად, მართლითა მიზეზითა წმიდა ეკლესია პა-
ტივს სცემს.

ბოლო: როგორც ღმერთს დასასრული და ბოლო არ აქვს,
ასევე მათს სატანჯველს ბოლო და ოხქანი აღარ ექნება. უნდა
იტყრონ მუღამ ნიადაგ და უკუნისამდე, რომ ღმერთმან გაშაროსთ,
ამინ.

შენაშენა: 1) წიგნს აქვს სათაური (გვ. 1ა): წიგნი, რომელსა ეწო-
ღების ქადაგებათა, საღ შვიციან (60) მშენიერნი და ლამაზნი ქადაგებანი, შე-
მოკლებული ვისამე ცოდვილი და უხმარი დიაკუნისაგან საღიდებლად ღთისა და
დედის მის ქალწული მარიაშისა და კვალად სასარგებლოთ სულიერო ძმათა და
დათა ჩემთა და შესაწეწენლად მოწესე უფალთა, წელსა უფლისასა 1798 მაისის
დამღვეს, სოფელსა აბასტუბნისასა, მღუდელთ მთავრობასა შინა ფიოს პაპისასა.

2) გვ. 1 ბ-დ მოთავსებულია სარჩევი, რომლის ბოლოს ტექსტის ხელით
სწერია: დასრულდა ქადაგებანი საქებლად ღთისა და სასარგებლოდ ქრისტიან-
ნეთ ძმათა და დათათვის წელსა უფლისასა 1799 იანვრის 10.

3) ქადაგებათა ქართულ ტექსტში შიგადაშიგ ჩართულია სომხური ცალკე
სიტყვები და წინადადებანიც, მაგ. გვ. 39: „რომელსაც უფროსი ერთად უწოდებ-
ბენ, საბრალო ცოდვილები არის ეს, რომ სომხურად ვიტყვით.

4) უკანასკნელ გვერდზე ტექსტის ხელით მიწერილია მხედრულად: ეს ქა-
დაგების წიგნი ოცხელი თუმანთ ტერ ანტონისა არის და ფასი არის 10 ყურუში.

ქალაგებანი

90 ფ.; 19X12.2; ლურჯი ქალაღი; ყდაში; მხედრული; 1798 წ.; შე-
მოსულია 1925 წ. პეტრე თამარაშვილისაგან (ახალციხე).

დასაწყისი: ქადაგება, სარწმუნოებასა ზედა თქმული.

თავი პირველი.

ყოველნი ქრისტიანენი დაბადებულნი არიან სასუფეველსა
შინა ეკლესიისა.

ბოლო: ჰოი ქრისტიანთ სიცოცხლეო, მოგვეხმარე და მო-
გვარჩინე საუკუნო წაწყმედისაგან. შენ ხარ ჩენი იმედი, შენგან
ველ(ი)თ შეწევენასა სააქაოს და გახარებასა საიქიოს უკუნისამდე.
ამინ.

ანდერძი (ფ. 90V): აღსრულდა ქადაგების წიგნი ესე ქრისტეს ქორონი-
ჯონს 1798 თიბათ. 25.

- შენიშვნა: 1) ფ. 90V მოთავსებულია წიგნის საძიებელი (სულ დასა-
ხელებულია 18 ქადაგება).
2) ტექსტში შიგა და შიგ ჩართულია სომხური გამოთქმანი და ფრაზები

625

ქადაგებანი

64 ფ.; 18 x 11,3; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1798 წ. ახლოს, შე-
მოსულია 1925 წ. პეტრე თამარაშვილისაგან (ახალციხე) შემოწირულების
სახით.

დასაწყისი: ქადაგება სამოციქულო ყოვლად წმიდის მა-
რიამის, განწმედასა ზედა თქმული. ესავ გაუქრობელი ცეცხლით
იყო ანთებულ თავის ძმა იაკობზედ მტერობითა.

ბოლო: ვითარცა ეკალმან არ მოარჩოს ისრაელის სიტყვის
თესლი, დათესილი შენს გულშიდ ან შენი საქმე არის, რომ ისრე
განამზადო გონება შენი, რომ ზედ დათესილმა ღმრთის სიტყვამ
ინაყოფიეროს კეთილად საუკუნო სიხარულშიდ უკუნიით უკუნი-
სამდენ, ამინ.

- შენიშვნა: 1) ტექსტში შიგადაშიგ ჩართულია სომხური გამოთქმანი
და წინადადებანი.
2) ხელნაწერი დაწერილია იმავე ხელით, როგორც № 623 და 624.

626

ლოცვანი

15 ფ.; 20 x 16; უყდო (დაშლილი): ბოლო ნაკლული; მხედრული
(სათაურები და თავსოები წითურით); XIX ს-ნის პირველი ნახევარი (ხე-
ლის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა სავარდის
ეკლესიიდან.

დასაწყისი: კვირის ლოცვა ცისკარსა: გიხაროდენ მიმად-
ლებულო მარიამ (ჩუმათ). უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ.

წყდება: და შენ ყრმა წინასწარმეტყველი მალლისა იწოდი,
რამეთუ წარსძღვე შენ წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზა-
თა მისთა.

მიცემად მეცნიერება ცხოვრებისა ერსა თვისსა მოტეეებითა

627

ვადატანილია სომხურს კოლექციაში

ვალი, ყვავილაიით აღვსილი.

588 გვ.: 21,2×17,6: ქალაღი; ყდაში; მხედრული; 1880 წ.; შემოსუ-
ლია სოფ. ივლიტას (მესხეთში) მცხოვრებ მღვდელ სერაბიმ მერაბაშვი-
ლისაგან 1925 წ.

წინასიტყვაობა (გვ. 1—9): დასაწყისი: ზარის და-
რეკა ესე გამოაღვიძებს, ცოდვის ძილს განაფრთხობს, ჩოღფოტი
გულს ვისმებს სტუქსავს და კეთილსა გზაზედ არონიებს.

მოთხრობა პირველი.

მიწერილი წიგნი უფლისა იესოსი ქრისტესი ვისამე საყვარე-
ლი სულისადმი შესაგონებელი კირთ გაწევასა ზედა. თავი ა. მშვე-
ნიერმან პასუხთ მიგებამ სურვილისამან განვლო გულითგან გულ-
სა იესოსი ქრისტესი და ნეტარისა გამიღლა ქალწულისა გამე-
რინოს დიდისა მთავრის ასულისასა.

ბოლო (ფ. 288v): აწ ამ მოთხრობით გამოცხადდა, რომ
ცოდვა კაცს შეიქმს ეშმაკების სასაცილოსა და სინანული გახდის.
კაცებსა ღვთის შეიღებსა. დასრულდა 1880.

ანდერძი (ლექსად, გვ. 577—580):

დასაწყისი მოთარგმანე ვარ წიგნისა ამის.

პაპის მორჩილ წმიდა მამის.

მრწმუნებელი ერთი ღმერთის,

ერთ არსების, სამი გვამის.

ბოლო: მამულღე ღმერთს ვევედრება,

ტერ ივან შევედრება,

რათამცა მისს სამართალში

არა ჰქონდეს დაყუვედრება.

წინაშენა: გვ. 581—588 მოთავსებულღა სარჩევი.

ანდერძთ მაგარი: წიგნსა ამას ეწოდების ველი, ყვავილებით აღვსილი, შე-
მოკრებულნი ვით ყოვლად მშვენიერნი ყვავილნი საკლესიო მოთხრობათაგან
ტალიანურისა(!) სომხულს ენაზედ, რომელსა შინა შეიციმიან საუცხოო მშენიერნი
მოთხრობანი სამეოცდაათხუთმეტნი, შრომითა იონან მოძღვრისა თოხათელი
ეპისკოპოსისათა, და სომხურიტგან ნათარგმნი ქართულს ენასა ზედა სასარგებ-
ლოდ და სამზარულოდ სულიერად ძმათა და დათა ჩვენთა შრომითა ტერ
იონან მამულღვისათა ახალციხელისა მიხეხისათვის ცხოვნებისა და მჭურვალ-
ობისა აღმოშობილთა მათ და მსმენელთა სადიდებლად ღვთისა და პატივისცე-
მად ყოვლად კურთხეული ქალწულისა.

თარგმნობილი სომხურიტგან ქართულს ენაზედ ტერ იონან მამულღვი-
საგან(!); ახალციხეს. 1880 წელსა. მაშ აბა მოიხსენიოთ ღრცითა (ფ. 1ა).

ძაღვაგვის წიგნი

165 ფ.; 22,3×16,5 ქალაღი; ყდაში; ბოლო ნაკლული; მხედრული;
XIX ს. (ბელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. სერაბიმ მერაბიშვილისაგან;
(სოფ. ივლიტა).

დასაწყისი: ქადაგება მეორე დოვანე მახარობელის დღესა-
წაულის სათქმელი, ვითარ სიკეთით განამდიდრა დოვანე და მი-
სივე შემდეგნი... მოიქცა პეტრე და იხილა მოწაფე იგი, რომე-
ლი უყვარდა იესოს, მისდევდა, რომელი იგი მიეყრდნა სერობასა
მას მკერდსა მისსა და ჰრქუა მას: უფალო, ვინ არს, რომელი მიგ-
ეცმს შენ.

წყდება: ამისთვის ეკლესი(ა)სტესა შორის ამბობს: ადამიან-
სა, სიკუდილი თუ სიცოცხლე, ავი თუ კარგი, რასაც ინატრებს,
შეიცემის მას. ხომ შეგიძლია, რომ ერთის მამაცობითა...

630

წაკითხის წიგნი

43 ფ.; 19,3×15,7; ქალაქი: ყდაში: მხედრული; 1798 წ. ახლოს;
შემოსულია 1925 წ. სოფ. ივლიტას მცხოვრებ სერაბიმ მერაბაშვილისაგან.

სათაური: წიგნი წურთნისა აღსარების საიდუმლოსა და
შამაო ჩვენოს ზედა იტალიის ენისაგან ნათარგმნი.

დასაწყისი: წურთნა აღსარებისა საიდუმლოსა ზედა.

თუ მაინც აქამდინ არ მოვინდომე ძალიანი ლაპარაკი თქვენ-
თანა, ქრისტიანო ძმანო, ახლა დიად მინდა, რომ ძალიანათ ვილა-
პარაკო.

ბოლო: ჯოჯოხეთში მყოფნელნიც მავას ამბობდენ, მაგრამ
არა როგორა ღმრთის მოწყალება, ამიტომ რომ ავათ იხმა-
რეს მისი მოწყალება. იცოდეთ, რომელსა ასხენ ყურნი სმენად,
ისმინონ. გათავდა.

შენიშვნა: ხელნაწერი დაწერილია იმავე ხელით, როგორც №623, 624.

631

აპოკრიფი ქრისტეს აღდგომაზე

18 ფ.; 22,2×18,2; მოლურჯო ქალაქი: უყდო; თავბოლო ნაკლუ-
ლი; მხედრული; XIX ს-ნის პირველი მესამედი (ხელის მიხედვით); შემო-
სულია სერაბიმ მერაბაშვილისაგან 1925 წ. (სოფ. ივლიტა).

იწყება: მერმე ხახმებმა და ურიებმა დაიწყეს თხრობად
თუ—მცველნიო, ვიდრელა სახლსა მათსა იყვნენ და საფლავსა ზე-
დან, დედა კაცნი ვინმენი მოვიდნენ შუა ღამის ძილის სიძძიმის
ხანსა და მოწაფენი მისნი.

წყდება: ექესი ათას წელიწადზედ მოსასვლელი არს ქრის-
ტე და თავი წლისა და მიზეზი ყოფისა დასტურებით ვერ შევიტ-
ყვიით.

სამოციქულო ქადაგებისა

215 ფ.; 34,7x21,5; ქალალი; ყდაში; მხედრული; 1820 წ.; შემოსულია სერაბიმ მერაბაშვილისაგან 1925 წ. (სოფ. ივლიტა).

სათაური: წიგნი, რომელი იწოდების სამოციქულო ქადაგებისა, რომელსა შინა შეიცმიან ფრად მშუქნიერნი შექოკლებულნი ქადაგებანი. ხოლო წიგნი ესე გარდმოთარგმანებულ იქმნა სომხურის ენისაგან ქართუმსს ენასა ზედა ვინმე უღირსი მწერალისაგან, რომელ არს ხიზაბავრელი ტერ ანტონ ხუციანოვი, მთავრობასა პიოს მერვე ჰრომის პაპისასა, კვალად მთავრობასა და მფლობელობასა თვისად მპყრობელისა მის და დიდებულისა იმპერატორისა ჩვენისა ნიკოლა პავლევიჩისა რუსეთთაჲსა წელსა უფლისასა ათას რვაას ოცდაათსა 1830, სოფელსა ხიზაბავრისასა.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. მშუქნიერნი ქადაგებანი, წმიდათა მამათაგან წიგნთაგან შემოკლებით გამოკრებულნი და ამას წიგნსა შინა აღწერილნი.

ნაცრის დაყრის დღეობის ქადაგება.

დასაწყისი: დღეს დედა ჩვენი წმიდა კათოლიკე ეკლესიასინანულზედ ჰპატიჟობს ცოდვილებსა, რათა იფიქრონ სიკუდილზედ და ცოდვაზედა.

ბოლო (ფ. 414v): თავად უფალმან ჩვენმან მოგუტეს ჩვენი სიწმიდე გულისა, რათა ღირსეულათ ზიარ ვიქმნათ ცხოვლმყოფელი(ს) ჯორცისა და სისხლისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ამინ.

შემდეგ მიყვება ფ. 415—428: ზანდუკი გინა სარჩევი წიგნისა ამის.

ანდრძი: დაბოლოვება წიგნისა ამის.

ხოლო ოდეს ვიხილე წიგნი ესე ვითარც პირველი მაგალითი, რომელთხიხულ (!) იყო სომხურს ენასა ზედა, რომელში შეცმულ იყუნენ ფერად ფერადნი მშვენიერნი და სულიერნი ქადაგებანი, დიდათ სათნო მეყო; ამისთვის თავს ვიხილსა საქმე ესე უხეშთაჲს ძალისა ჩემისა, რათა ქართუმსთ ენასა ზედაცა ყოფილიყო და უნაყოფოთ არა დაშენილ იყუნენ ამ წიგნის ნაყოფისაგან ერნი ივინი, რომელთაცა სრულიად არა ჰქონდათ სმენაჲ სომეხთ ენისა. და თუმცა ფრად ძნიად მიჩნდა გარდმოთარგმანება ამისი ქართულს ენასა ზედა, რადგან პირველ რომ არა მაქუნდა იგოდენ საკმაო შემტყობელობა და სმენა სომხურის წერილისა და არცა რა მოადგილება ჯართველთ მწიგნურ წერილებისა და ლექსებისა. და მეორედ რომ მოკლებულ ვიყავ ნათელთაგან თვალთა ჩვენთასა, რომლისა ბუნებისამებრ კაცებრივისა ქვემდებარე ვართ მოხუცებულებისამებრ ჩვენისა. არამედ მანც აღძრულმან საღმთო კეთილითა შურითა ვიკადნიერე და არა დავსდიე იმ ზემო თქმულთ უმეტრებათა და უსინათლობათა ჩვენთა და მოვილე კალმად და გარდამოვთარგმანე წიგნი ესე ქადაგებისა სასარგებლოდ ყოველთა მოწმუნეთა ძეთა სიონისათა, ძმათა და დაძთა ჩვენთათვის და ესრედვე სულიერ-

ნიჭად სულისა ჩვენისათვის. რამეთუ მე თავად მოვაკლდე თუ სიბერითა, თუ სინათლის მოკლებითა და ბოლოს სიკუდილისა და დადღემდე ღმრთის სიტყვის გაგონებისაგან წმიდა ეკლესიის ერისა, მაინც მსურის, რათა ნამუშავევი ჯელთაგან ჩვენთა ჰქადაგებდეს მოუკლებელად, წამლად და საკურნებელად სულიერთა სნეულებათათვის, რათა ამისის სმენით მიიღონ ყოველთა განკურნება, ლხენა და მოქცევა ცოდვათაგან და მიმართვა ღმრთისა მიმართ, რომელთ ესე ყოველთა თანა გვაქვს უფალი. გუნებავეს საუკუნო ცხოვრებასა შინა შესულა და ქრისტე მეუფისა ჩვენისა თანა ზეციერს სასიძოსა შინა სუფევა, რათა მათის მოგცევითა სულმანცა ჩემმან ჰპოოს ღზინება. და იქმნას წიგნი ესე ჩემდა სულიერ მისაგებლად და ესრედვე და ესრედვე (!) მამისა და დედისა ჩემისა და ყოველთა მიცალებულთა ჩვენთათვის სულის სახსრად. კვალ(ა)თ ვითხოვ ყოველთ სულიერთ წამკითხავთაგან, რათა არა ბრალიერ მყონ, არამედ მომიტერო, უფალო, შრომილსა და ნამუშავევსა ამას ჩვენსა შინა ჰპოვონ რამე დრკუება, ანუ სიტყვით შეცულილობასა შინა, ანუ ასოთ მეტნაკლებობასა შინა, რომლის შეცთუნებისა ქვემდებარე არს კაცთა ნათესავი და თანევე, რომ წერვასა შინა მაქუნდა გადაჰარბებული ხარბობა სისწრაფით წინ წარსულისათვის და ესე საქმეცა იქმნა ჩემდა საფრხედ შესაცთუნებლად. და ამისთვის გლოცავ ყოველთა მზილველთა და წამკითხველთა წიგნისა ამისათა, რათა მიხედვითა კაცებრივი უძღურებისა არა ჰმბასრვიდეთ და არცა ძულეებით მძრახვიდეთ, არამედ კაცთ მოყვარებითა თქვენითა (რომელი ყოველთათვის ჯერ არს) მოტევებასა მოიღებდეთ ჩვენ ზედა, რათა უფალმან თქვენცა მოგიტეოსთ ყოველნი თანანადებნი თქვენი თავისი უხვი მოწყალებითა, ამინ (ფ. 429r).

მინაწერი (ბოლო გვერდზე სხვა ხელით სწერია მხედრულით): 1859-სა ამ წიგნის ფასი სრულათ მიღეს სტეფან კარგ ისალოვისაგან (!) დამწერის სულზედ მოსახმარებლათა და, წამკითხველნო, დამწერსა ამ წიგნისა შენდობა მიეცით*.

633—636

გადატანილია ხომხურს კოლექციაში

637

ნათესაობის სჰამა

1 ფ.; 38,3×45; ქალაღი; უყდო; მხედრული; XIX ს-ნის პირველი მეოთხედი (ხელის მიხედვით); შემოსულია სერაბიმ მერაბაშვილისაგან (ყოფ. ივლიტა) 1925 წ.

დასაწყისი: კვალად დეიდა ბებერა—უთანასწოროდ.

ბოლო: ჩვეულებად არს შიგ შეცმით სამ თავობამდისინ დაშლილობა მზახლობისა, ხოლო სომხების ჯელთწერილში კი ეიპოვენე, რომ ორთაობის მეტს არ ახსენ, არამედ მრავალგზის მირგუნებია ამ ჩვენს თემში მესამე თავობაშიდ დასტურითა.

638

ოთხთავი

160 ფ.; 30,5×20,8; ქალაღი; ხის ყდაში; თავბოლო ნაკლული; ნუსხური (თავასოფი ასომთავრულით და სინგურით); XVI ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. სოფ. ტობის (მესხეთში) წმ. ნინოს ეკლესიიდან.

იწყება: ...იან რასა იგი ვეტყოდე მათ, და იყო ვითარცა ესე თქუა იესუ, ერთმან მსახურთაგანმან მუნ მდგომარემან სცა ყურიმალსა იესუს.

წყდება: და ჰქუა მას: უფალო, უკეთუმცა აქა ყოფილიყავ, არამცა აქა ყოფილიყავ, არამცა მომკუდარი იყო ძმად იგი ჩუწნი. ხოლო ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ტიროდა და მის თანა მოსრულნი იგი...

მანწერებო: 1) აქა ძმა მომივიდა და ვერაჲ ვაჩუქვე, (!) შემრცხუა. გული ამიჩქარდა (ფ. 20r ტექსტის ხელით).

2) ფ. 66v, 73r მიწერილია სხვა ხელით მხედრულად ტუდის ხელით ღვთისაგან შეწყალების შესახებ.

639—642

გადატანილია სომხურს კოლექციაში

643

ლოცვანი

29 ფ.; 11,2×9; ქალაღი; ყდაში; თავბოლო ნაკლული; მხედრული; XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. სამსონ გოხალაშვილისაგან (სოფ. ვალე).

იწყება: და ამისათვის ევედრება მამა ზეციერსა და იტყვის: მამო, უკეთუ შესაძლებელს არს, გაროვინე (!) ჩემგან ეს სატანჯველი.

ბოლო: ნათლითა პირისა შენისათა ვიხილოთ ნათელი, გამოგვიბრწყინე წყალობა შენი, რომელიც გცნობენ შენ.

614

ტოქობა და შთამოსირება მამიკონელთა

2 ფ.; 37×22; ლურჯი ქალაღი; უყდო; დაზიანებული (შუაში აკლია); 1813 წ. ახლოს; შემოსულია 1925 წ. სამსონ გოხალაშვილისაგან (სოფ. ვალე).

სათაური: თარგმნილი სომხურისა წიგნისაგან ქართულსა წიგნსა და ენასა ზედან, რომელიცა ითარგმნა უმეტნაკლებოდ ნაშდვილიდამ.

ფერემ კათალიკოზი ყოველთა ჰაოსთა, პატრიარხი საარარატოჲსა საყდრისა წმინდისა ეჯმიაწინისა.

ტომობა და შთამოსირება მამიკონელთა, რომელნიცა იწოდებიან თუშანიანად.

დასაწყისი: წელსა უფლის განხორციელებილამ 283 სპგ-სა ჯამბაკურს (ესე იგი) მეფესა ჯინელთასა(!) არბაკს ჰყვანდნენ ორნი თანაერთ ნადედა (!) მამა მძუძენი შვილნი.

ბოლო: ესე გამოიწერა ხსენებულისა სარწმუნოსა მოთხრობისა წერილთაგან და დაებეჭდეთ და ქვემო ამისა მოვაწერეთცა წელსა უფლისასა 1813 ჩვიგ მარტის იგ დღესა უაღმატებულესისა საარატოვსა საყდარსა ყოველთა ჰაოსიანთასა წმინდისა კათოლიკესა ეჯმიაწინისა.

ჩლენნი კეთილ მოწესებითისა განმგებელობითისა წმინდისა კრებისა უმაღლესისა განმზრახველობისანი ქრისტეს მიერ დაფუძნებულისა ნათლით შემკულისა, მადლმფინარისა დედა საყდრისა წმინდისა ეჯმიაწინისანი.

სომხურ დედანში დასმული ყოფილა ბეჭდები. ამ ხელნაწერში სჩანს აღნიშნულად 8 ბეჭდის აღვლი. მათგან იკითხება სახელები არქივისკოპოსების ისააკის, ფილიპესი, ნერსესი და ეფრემ ვართაპეტისა.

645

აზოკრიფის წიგნი

2 ფ.; 13,2×10,2; ეტრათი: უყდო; ბოლო ნაკლული; ნუსხური (სათურები სინგურით); XV ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. სამსონ გოხალიშვილისაგან (სოფ. ვალე).

დასაწყისი: სახელითა ღმრთისათა, მამისათა და ძისათა, სულისა წმიდისათა, გომდა თერ ანლოზ (?) ასული და დედა მისი შელდ (!).

წყდება: და ერმანოზ: რა ხარ შენა, ეშმაკო მყარალო, შენ მიერ ქარნი (?). მე ვარ დედა.

646—650

გადატანილია ხარხულს კოლექციაში

651—652

გადატანილია ოსურს კოლექციაში

653—654

გადატანილია რუსულს კოლექციაში

655

ხვაჭლა აღსარებისა

209 ფ.; 11×8; ქალაღი; ყდაში; მხედრული 1831 წ.; შემოსულია 1943 წ. ექხარხოსის ყოფ. კანცელარის საქმეებიდან.

დასაწყისი 1. სწავლა აღსარებისა, რომელ უხმს ესე ქრისტიანესა, პირველად თვისთა ცოდვათა გამოკვლევით აღრიცხვა და მოგონება.

ა. ჩხრეკაზე უნდა გავისარჯოთ, რავდენათაც შეგვეძლოს.
ბ. სინანული გულითა.

ბოლო: წიგნი წმიდანი აღმოსაკითხველნი არიან უფროსი ერთად იგინი, რომელიც სინანულს მისცემენ სრულიად.

ანდერძი: წიგნი ესე გუთუნის ტფილისის მოქალაქე კათოლიკე გასპარ ნაცვალავს.

სრულ იქმნა სადიდებელად ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამის სადიდებელად ჯელითა ფრიად უღირსი გორელი ანდრეი შიხინოვისათა. ვითხოვ გიბაროდენით შეწვენასა, ივნისის ლ დღესა ჩყლა წელსა (2094).

656

მეხობის კვირის მსალმუნებო

67 ფ.; 16×10; ქალაღი; ყდაში; თაენაკლული; მხედრული (სათაურები და თაე-ასოები სინგურიოთ); 1803 წლის; შემოსულია 1943 წ. ექზარხოსის ყოფილი კანცელარიის საქმეებიდან.

იწყება: გლახაკ და დავრდომილ ვარი მე. ღმერთო, მაცხოვრება შენი შემეწიენ მე.

ბოლო: ღმერთო, გევედრებით, მოხედენ ზედა ერსა შენსა ამას, რომლისათვის ჩენი უფალი იესო ქრისტე მიეცა ხელთა ცოდვილთასა სტანჯვად და ჯვარცმად.

ანდერძი: დამიწერია ეს ვნების კვირის მსალმუნები. დაიწერა მარტის ივქორონიონს უჟა, 1830 (უნდა: 1803) აღსრულდა (ფ. 66r).

მინაწერი: 67r.

657

საეკლესიო განმარტებათა წიგნი

136 ფ.; 15×10; ყდაში; თაენაკლული; მხედრული (სათაურები და თავასოები სინგურიოთ); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1943 წ. ექზარხოსის ყოფილი კანცელარიის საქმეებიდან.

1. მრწამსის განმარტება (ფ. 1—90r).

იწყება: ...რთა სოფლისათა განაწესეს მცირე სიმოკლე და იმ მცირე სიმოკლეში მოიყვანეს ყოველი იგი. რადცა საქირო არს პრწმუნებად და უწყებად ყოველთა ქრისტეანთა.

ბოლო: ამისთვის ბრძანებს წმიდა პაულე: არა ღირს არიან ვნებანი ამ ქამისანი მისასვლელი დიდებისა, ხოლო ვითარ ვცხონდებით, უფალო, ვიქმთ ყოველითურთ წინამდევსა, ვიდრე გემართებს ქმნად ცხონებისათვის.

2. თარგმანი მამაო ჩვენისა (ფ. 91—107r).

დასაწყისი: შ(ეგირდი): ვისწავე ღმრთით იგი, რომელი მართებს ჰრწმუნებად, აწ ვნატრობ სწავეებად იგი, რომელი უნდა-ვისასაო და ვინატრო.

ბოლო: ეგრეთ შესრულებასა ზედა მამაო ჩვენოვსა, ამენ, ძალ აქუს, ეგრეთ ვნატრობ, ეგრეთ ვევედრები, რომ იქმნეს.

3. თარგმანი გიხაროდენისა:—შემდგომად თარგმანობისა მამაო ჩვენოვსა, ვნატრობ, ეგრეთ ვევედრები, რომ იქმნეს.

4. თარგმანი წმიდა ჟამის წირვისა.

დასაწყისი: მ(ასწავლებელი): მითარგმანე შემოკლებულად, ვითარ წმიდა ჟამის წირვა არს ერთი სიმოკლე ცხოვრებისა და სიკვდილისა მაცხოვარისა ჩვენისა.

შ(ეგირდი): ოდეს ვხედავ მღვდელსა მახლობელსა საკურთხეველსა ზედა, მიჩნს ხილვად მაცხოვარი (ფ. 114r).

ბოლო: და წმიდა სახარება ითქმის ოთხთ ადგილთა სახსენებლად ოთხთ მსაჯულთა, რომელთ წინაშე თვის ვენებაში იდგა ჩვენი მაცხოვარი და გარდახდათ უპატიურობათა მათ, რომ ადგილთა მათ დაუთმინა. შესრულდა.

658

ქრიაული

100 ფ.; 35×23; ქალაღი; უყლო; მხედრული; 1829 წ.; შემოსულია. 1943 წ. ექზარხოისს ყოფ. კანცელარიის საქმეებიდან.

1. ღვთიე უშწნიერნი თხრობანი სულისა, ფრიაღ სარგებელნი, რომელსა ეწოდების გვირგვინი (ფ. 1—77r).

დასაწყისი: თავი ა. მღვდელ-მოქმედებისათვის და საიდუმლოვსა გამოცხადებისა.

თხრობა ა. გამოცხადებისათვის წმიდისა საიდუმლოვსა და სიყუარულისა.

ღმერთი, რომელი სიყუარული არს, ნამღვლიტ(!), რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა. ღმერთი მისთანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა.

ბოლო: და უწინარესა ღლისა ერთისა მიცვალებისა მისისა განეხვნეს თვით თავით თვისით რკინანი იგი და დასცვიუნეს ჯაქენი. მოვიდა მსახური მისი და იხილა იგი. ესრეთ დაუეკირდა და ჰრქვა მას: ვინ გაგხსნა შენ, მამაო, რკინათაგან შენთა. ხოლო მან ჰრქვა—რომელმან იგი დახსნა საკრველნი ცოდვთა.

2. ჰსწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა (ფ. 78—94r).

დასაწყისი: მოწაფე ჰკითხამს და მოძღვარი ასწავლის. მოწაფე: ვინ არს ღმერთი? ან რა შეუქლიან?

მოძღვარი: ღმერთი ძლიერი არის და კელმწიფე და დამბადებელი ყოვლისა.

ბოლო: მოძღვარი: ...ნუ დაივიწყებ ქრისტეს ჩვენთვის ჯვარცმულის აურაცხელს მოწყალებასა, რომელი მოვიდა და ჩუ-სნთვის ჯვარს ეცვა და ჩვენ მოგვიყიდა პატიოსანითა სისხლითა თვისითა და ნუ მიუქცევ მარჯუწიით და მარცხენით, არამედ სა-შუალი გზა დაიპირე, რომელ არს თაყუანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა და ნურც ურიათ ძველს სიბრმეს ისმენ და ნურც სარკინოზთ ზღაპრობასა.

ანდრძი (დაწერილია გადამწერის სოკოლოვსკის მიერ): დიდება ღმერთსა, სამებით ერთსა, მამასა, ძისა მშობელსა და სულისა გამომავლინებელსა. დაესრულა წიგნი ესე ქალაქსა ტფილისასა აჰა ქრისტეს აქეთ ჩუთ წლსა კელითა პეტრე ვასილისა ძის სოკოლოვსკისათა. მხილველთა და წამოთხველთა ყოველთა ვეუდრები სულისათვს იესუსა და უბიწოდ მშობელისა მისისა, რათა შენდობას ჰყოფდეთ ჩემ ცოდვილისათვს და ცთომანი ჩემნი მომიტევენენ, რათა განვერე მწარესა მის ბრძანებასა ლეთისაგან მამწარებელთათვს განმზადებულსა დღესა მას სასჯელისასა. და თვითა მომხსენებელნი ჩემნი უბრუნველ ყბნეს უფალმან ორსავე შინა ცხოვრებასა. ვითარცა თვთ ბრძანებს: რაოდენი გინდეს, რათა გიყონ თქტმ კაცთა, ვგროთვე თქვენ ყოფდით და კტალად: უკეთუ არა მიუტევენდ კაცად კაცდმან თქე ნმან, არცა მამამან მოგიტევენე შეცოდებაანი თქვენნი.

შენიშვნა: სწავლა-მოდღერების წიგნი სოკოლოვსკის გადაწერია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ თბილისში 1711 წ. დაბეჭდილ ცალიდან. სოკოლოვსკის თან მთაყვეს (ფ. 99—100r) ვახტანგის მიერ დაბეჭდილი წიგნის ბოლოსიტყვაობა, რომელსაც თავისი მხრივ წარუძღვანა შემდეგი ცნობა:

ჰსწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავება მოწაფისა, აწ დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა ჟამსა მეფობისა უფლისა ქაიხოსროსსა და შრომითა გამგებელისა მისისა უფლისა ვახტანგისსა, შემოკლებით თქმული და გარიგებული გერმანე მღვდელი მონახონისაგან კელითა პეტრე ვასილისძის სოკოლოვსკისათა ქალაქსა ტფილისსა, ჩუკთ-სა წელსა იანერის კბ-სა დღესა.

ამას მიყვება ვახტანგის გამოცემის ანდრძი (შინაარსიანობის გამო მოგჩევს სრულად): სადიდებელად წმიდისა სამებისა მე გვარტომობით ძირმოდგმით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქჳლის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდათ სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნისა ლევანისამან, განმგებელმან ქართლისამან ბატონისშვილმან ვახტანგმან, მოვიყუანე მესტამბე ვალახეთით და გავაკეთე სტანბა სხსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელისა ასულისა თუთასათვს, საღბინებელად სულისა ჩემისა, ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად.

ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ! ჟამსა მას, ოდეს მეფობდა ქართველთა ზედა ძირთაგან დავითისთა აღმოცენებული მეფე ქაიხოსრო და მის წილ განაგებდა სამეფოსა მისსა ძმა მისი მამულის, რჯულის განმძღიერებელი და ქრისტეს სარწმუნოებისათვის ცეცხლებრ მოტყინარე ბატონიშვილი ვახტანგ—საუუწოდ

ყოს უფალმა ხსენება მისი—ამან მოიყვანა სტანბა ქვეყნით ვალახეთით, რა ჟამს უფლებდა ვალახეთს იოანე კოსტანტინე ბრანკოვანე ბასრაბა და მომართა ქუპ-ყანასა ზედა ქართლისასა დიდის საფასითა და წარსაგებელითა და აღაესო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა, რომელი დაკლებული იყო ჟამთა ვითარებისაგან მდევართაგან ქრისტეს რჯულისათა. მას ჟამს მე ცოდვილმა და ორკერძოვე სულთა და ჯორცთა უძღურმა, ხუცეს მონაზონმა, მონამან და მოსამსახურემან ქალაქს სიონისამან ღმრთის მშობლისამან და მლოცველმან ამათს ზემოხსენებულთა პატრონთამან ცოდვილმან გერმანემ ვიღვაწეე მცირე რამ საღვაწი და აღეწერე სარწმუნოება ჩვენთა სარწმუნოებათაგან შემოკლებით გამოკრებული და მცირედით რას ჰსწავლა შვიდის საიდუმლოსი, რაცოდენ ჩემი უგულისხმო გონება მისწვდებოდა. არა თუ ყოველი ძალი საიდუმლოსი აღესწერე, ეს დიდთა და სარწმუნოთა კაცთაგანც ძნელად შესაძლებელ არს, არამცთუ ჩემებარ დაბნელებულისა, არამედ ესოდენ ვიბუშაკე, რათა იკითხამდენ და ისწავლედენ ყრმანი, ახლად მოსწავლენი, და მეცნიერებად ღმრთისა მოვიდოდენ და არა იყუნენ ჩუქნგან განშორებულთა მწვალებელთ შვილთაგან დაწუნებულნი და სიტყუა უგებელნი, ამისთვის დაეწერე საეროს სიტყუითა, რომ ახლად მოსწავლენი ყრმანი სიადვილისათვის მსწრაფლზედ მიიწოდენ და უტოომელად დაისწავლიდენ და ესრეთ მეცნიერებად აღიყუანებენ გონებასა მათსა ხედვად დღისა. ესეცა დიდად მოღვაწემ და სწავლა შემატების გულამოდგინედ სულიერად და ხორციელად გამგეობის ტრფილმან ბატონისაშვილმა ვაბტანგ დაბეკდინა თვისთა საფასეთა წარსაგებელითა. აღიდოს ღმერთმან ორსავე შინა ცხოვრებასა. აწ ვინცა ვინ ამ ჩემს ნამუშავეს აწ იკითხვედეთ, რომელიც გონებაში არ გენიშნოსთ, მაშინვე ნუ დაბრკოლდებით ჩვენს უმეცარებასა ზედა, არამედ აღმოიკითხავდეთ წიგნთა და მაქეს სასოება უფლისა მიერ—მსწრაფლ გულისხმა ჰყოთ, ვითარმედ არა ჩემის მუცლისა მოძღვრობით მითქვამს, არამედ რომელი მინახავს წერილისაგან, ეს აღმიწერია.

659

წიგნი თეატრო-პოლემიკისა

75 ფ.; 34,5 X 22,5; ქალაღი; ყდაში: თაენაკლული; მხედრული; XIX ს-ნის პირველი მეოთხედი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1943 წ. ყოფ. ექსარხოვის კანცელარიის საქმეებიდან.

ი წ ყ ე ბ ა: ...ით მიიპარა გული ჩემი და მყო მე მარადის თანამდებ თვსდა.

კეთილად უწყყოლა მეფემან აღისილაოს, ვითარმედ არს უმეტეს საჭებელი განმდიდრება სხვისა, ვიდრე ლა თავის თვისისა, და ვითარმედ სხუა არა რადმე ესრეთ აღიდებს კაცთა.

ბ ო ლ ო: მარჯუშთა ქართთა ვლენან პატვიის მცემელნი, ეკლესია ღმრთისა და მოყუარეთა მისთანი. ხოლო მებრძოლთა მისთა ნაცულად აქუსთ პირისპირ საღმრთო რისხუა და წარწყმედაჲ.

დასასრული თეატრო პოლემიკისა (ფ. 2r—75r).

ხელნაწერში მოთავსებულია შემდეგი სწავლანი:

1. ნიკებათათვს და არა მოხუშქთა (ფ. 1r—2v, თავნაკლული).
2. დამორჩილებისათვს ჰსჯულთადმი (ფ. 2v—5r).
3. მორჩილებისათვს საღმრთოჲსა განგებისა (ფ. 5r—8r).
4. დაცვისათვს რწმუნებისა (ფ. 8r—12r).
5. სწავლათათვს (ფ. 12—15r).
6. პატივისცემისათვს ბრძენთასა (ფ. 15v—19v).
7. საღმრთოთა წერილთა კითხვისათვს (ფ. 19v—24v).
8. ზეციერთა კეთილთათვს (ფ. 24v—29r).
9. საჩივართა ყურადღებისათვს (ფ. 29r—30v).
10. შემასმენელთა არა აღვილად მიღებისათვს (ფ. 30—32).
11. პირმოთნეთათვის (ფ. 32r—35).
12. მეგობრისა სიყუარულისათვს (ფ. 35v—37v).
13. ბედნიერებისათვს (ფ. 38r—42v).
14. უბედურებისათვს (ფ. 42v—44v).
15. გლახაკთა მოწყალებისათვს (ფ. 44v—47v).
16. სბკუდილისა ქსენებისათვს (ფ. 47v—55r).
17. კეთილმსახურებისათვს (ფ. 55v—61v).
18. ცუდად მზუაობრობისათვს (ფ. 62r—65v).
19. სიმდაბლისათვს (ფ. 65v—66r).
20. სამღუდელთა პატივისცემისათვს (ფ. 66v—72v).
21. მწვალებელთა მეფეთათვს (ფ. 72—75).

წინაშენა: ხელნაწერს აქვს ძველი პაგინაცია და მისი მიხედვით აკლია თავში 187 გვერდი, რომელზედაც მოთავსებული ყოფილა თერთმეტი თავი-სწავლა.

660

ქველი ალექსის ისტორიან

26 ფ.; 34,5 × 22; ქალაღი; უყდო; თაებოლო ნაკლული; მხედრული; XIX ს-ნის უკანასკნელი მეოთხედი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1943 წ. იწყება: § 45, შესლვა ისრაელთა ქუშყანასა ალექმისასა 1569 წელიწადი ვიდრე შობადმღე ქრისტესასა.

მოსეს დროსავე იყო დამორჩილებული სრულიად აღმოსავლეთის ნაწილი პალესტინისა, შემდგომად წოდებული პერეიად.

წყდება: შემდგომად ამისა უხუცესმა ტობიამ იცოცხლა სამოცდარობი წელიწადი და მოკედა 150 წლისა. წინათ სიკვდილისა თვისისა მან უანდერძა შვილსა თვისისა—დასახლდეს...

661

მოკლვრება ხალკითოჲსა ლიტურჯიისა

13 ფ.; 35,5 × 22; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1855 წ.; შემოსულია 1943 წ.

დასაწყისი: ოდეს შერახვიდოდე შენ ეკლესიასა შინა ლოცვისათვის, შევედ კეთილკრძალულობით, ვითარცა სახლსა შინა ლუთისასა.

ბოლო: ქრისტემან ქეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედისა თვისისათა და ყოველთა წმიდათა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთ-მოყუარე.

ანდერძი: გადმოთარგმნა მღუდლის გრიგორი ცამციევის მიერ 1855 წელსა ნოემბრის 18 დღესა (13v).

შენიშვნა: თავ-ფურცელზე სწერია: *Перевод с русскаго на грузинскій св(щ)енником* Гр. Цамциеишя, 1855 года ноября 18 дня (ფ. 1r).

662

ლექსთა ქაზგული

5 ფ.; 33,5×20,9; ქალაღი; უყდო; მხედრული; XIX ს-ნის პირველი ნახევარი; შემოსულია 1943 წ.

1. სოფლის მღურეა სიბერისათვის, თქმული [დიმიტრი] ბაგრატიონის მიერ.

დასაწყისი: ადამ ვნებანი ჳელჳყო მალღისა...

ბოლო: ნობათით გწედაო მცხოვანებანი;

დასრულდა შენი მზნოვანებანი;

გამოტყდა ქარი წინწიღებანი (ფ. 1rv).

2. მიცვალებასა ზედან მისის ბრწყინვალეების თავადის პეტრე იოვანეს-ძისა ბაგრატიონისა ლენერაღ ანშეფისა და მრავალთა ორდენტა კავალერისასა.

დასაწყისი: არ არს სისრულე სოფელსა ამას შინა,

არცა საღმე მტკიცე ბედნიერება.

ბოლო: ნუ ნუმცა უკუღ ერთიღ ოღენ წამი,

გარნა დარეკა ჟამმან საკვდიღღისამან (ფ. 1v—2v).

3. საქართველოს მეფის გიორგის ძის დავითისაგან თქმული, ლეიღი არაბულია, ხოლო ქართულად ითქმის ხორბღის ფერი.

დასაწყისი: გამიფრინდა სიხარულღს მფრინვეღი (ლეიღი).
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა (ლეიღი სხვისა და სხვისა).

ბოლო: ყარიბი აწ უძღენი ძღენად ჩემსა (სულსა, ლეიღუმ)

მიზეზების გამო სხვისა და სხვისა (ვა ლეიღუმ სხვისა და სხვისა, ფ. 3r).

4. მეფის ირაკღის ასუღის მარიამ ბატონიშვიღღისაგან თქმული თურქთა ხმათა ზედან სათქმელი მუხანბაზღი.

დასაწყისი: ჭი დამწარდეს დროთა ტკბილობა,
უწყალომ ეტლმან რა კმნა ცილობა.

ბოლო: გაადრებ, ქვეყანის შემამკობელნო,
ყარობ დამშრიტე გულს სახმილება (ფ. 4rv).

5. მეფის ირაკლის (ასულის), ივანე მუხრან-ბატონის მეფულისა ქეთევან ბატონიშვილისაგან თქმული; გაფი დუგაში სათქმელი, ქართულებ (!) იხტილათი, ქართულებ შექცევა.

დასაწყისი: ჭი ვითარ ვთქუა განსაკრთომელი,
ჩემი სიცოცხლის დამამცრობელი.

ბოლო: მაგრამ ბედნიერთ პირად მყოფელო,
ვინც არ გენდობა, ვარ მადლობელი.

ჭი ვითარ...

ჩემი სიცოცხლის... (ფ. 5rv).

6. მეფის ირაკლის ასულის თეკლა ბატონიშვილისაგან თქმული გაფი, თავის დას ქეთევანს პასუხს უგებს ამ ლექსით.

დასაწყისი: რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი.

სწყდება: ყოვლთა მტერთაგან დასატირებსა
ნუსწუხ, დაშრტება ცეცხლთა დებანი.

რად გიკვირს...

მცირე ხანს...

წინაწინა: ეს უკანასკნელი ლექსი ბოლო ნაკლულია.

663

ქალენიაში სათქმელი კვარამქანი მტერთა კლავისათვის

5 ფ.: 21,5×17; ლურჯი ქალაღი; უყდო; მხედრული; 1828 წ.; შემოსულია 1943 წ.

სათაური: ძლევისათვის მტერთა ზედა ქრისტეს მოსახელი-სა მხედრობისათა, მშვიდობიანი, რომელისაცა შვენის თქმად მწუხარსა, ცისკარსა და ლიტურლიასა ზედა.

დასაწყისი: ითქმის ესრეთ.—მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ და შემდგომი, ვიდრე მენავეთა თუსადმდე, ხოლო ზედა დაერთვის ესეცა.

ბოლო: რამეთუ კურთხეულ არს ყოვლად წმიდა სახელი შენი, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ანდერძი: სანკტაეტერბურლსა შინა, უწმიდესსა მმართველსა სინოდსა თანა ჩუკმ-სა წელსა, აპრილის იდ დღესა. თარგმნილ არს რუსულიდამ ქართულსა ენასა ზედა საქართველოს საეპარხოზოს კანცელარიასა შინა ტიტულიარნი სოცეტნიკის იერონიმე ალექსიევისაგან (ფ. 5rv).

ზილოცავები

3 ფ.; (სხედასხვა ზომის ნაქრების); ქართული; უყდო; მხედრული XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1943 წ.

1. ცოფის ლოცვა.

დასაწყისი: სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა ამინ, რომლისა სახელი წმინდა არს.

ბოლო: შენ ხარ ქრისტე—წამალი ცოფისა. შენ დასწერე შენი წყალობისა ჯვარი, ამინ (1r, 2r).

2. წერილი ანგელოზისა.

დასაწყისი: სასუფეველი ღვთისა ვედრება მთავარ ანგელოზის მიხაელისა, რომელიც იმოვნეს ციღან გადმოვარდნილი.

ბოლო: ვინც წაიკითხოს, დღეში სამი წერილი გადასწეროს. სამ დღეში ცხრა ქალაღი დასწეროს და ნათესაებს და მეზობლებს გადასცეს. ვინც ამას შეასრულებს, მეცხრე დღეს ნახავს სიზმარს. ეს წერილი იყო ოქროს ასოებით ნაბეჭდი. ეს საქმე მოხდა ღვთისაგან ქ. იერუსალიმში (ფ. 31v).

3. ქალს რომ მუცელი უტუდებოდა—სახელითა მამისათა და ძისათა, ამინ. მთა იძრა, ქვეყანა იძრა, დედამიწა იძრა, დადგა მთა, დადგა ქვეყანა... (ფ. 1v).

4. შაკიკის ლოცვა.—სახელითა მღვთისათა, მამისათა და ძისათა, ამინ. ჩვენ ზეით რომ ვერცხლის ტბა არის, მას შინა დგას ალვის ხე, ალვის ხეზე სძევს ოქროს ტაბაკი... (ფ. 1v).

ზილოსოფიური წიგნი

2 ფ.; 16×11,5; ქალაღი; უყდო (ცალკე ფურცელი); თავბოლო ნაკლული; ნუსხური; XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1943 წ.

იწყება:... ლისა არსებისასა მით, რამეთუ საყოველთაოთათვს, სიტყუაჲ ფილოსოფოსთა, ხოლო დაშურეტა საკმარ არს, ვითა იტყვის ფილოსოფოსი.

წყდება: შორის ადგილისა, რამეთუ ვიტყვთ სოკრატსა შორის, ადგილსა რასმე, ვითარ იგი შორის ლჯიოსაჲ.

ძორწილი ხანსურთა

19 ფ.; 35,5×22; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1853 წ.; შემოსულია 1925 წ.

სათაურ: ქორწილი ხევსურთა, კომედია ორს მოქმედებად, თხზული ზ. ანტონოვისაგან.

დასაწყისი: მომქმედნი პირნი:

მეცხვარე ნინია ფანტელაური; მწყევსი მისი ბესო ქუაყორაელი.

ბოლო: არ დავრჩებით ძაბუნადა... თ... (ასწევენ ცალის ჯელით ყანწით ღვინოსა, სმენ და მეორე ჯელით დაშნებს თავზედ დაიქერენ ჯვარედინად და დაეშვება ფარდა).

შენიშვნა: ფ. 17 და 19 რუსულად წარწერილია ცენზორის თანამდებობის აღმასრულებლის თავ. ერისთავის მიერ ნებართვა პიესის დაბეჭდვის შესახებ 6 მარტს 1852 წ.

667

ბეჰანიანი

16 ფ.; 22,5×19; ქალაღი; უყდო; ბოლო ნაკლული; მხედრული; XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1945 წ.

იწყება: აქა ანბავი დასაწყისი ბეჰანის ამბავისა.

თურანს ტახტი დაეკარგა, ხორციელად ყველას სცნობდა.

ბოლო: სახიერმა დაგიმტკიცოს ერთმანეთის სიყვარული;

მე ზაეონ მისთვის მოველ, რომ დამეწვა თქვენთვის სმენა.

668

მარხმანი

2 ფ.; 25×22; ეტრავი: უყდო; თავბოლო ნაკლული; ნუსხა ხუცური (თავასოები სინგურით); XV ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1945 წ.

იწყება: არამედ შენ, სახიერო, მოხუედ სიტკბოებით ჩემზედა და დამასხ მე ზეთი მწყალობელისა.

წყდება: და ვიწყალ ბოროტად და მწარე და სული ჩემი აღივსო საღმობითა და ამის გამო ვძე მე შიშული კეთილთა საქმეთაგან გზასა...

669

უზენაესი მზარველობა ათონელად

2 ფ.; 21×17; ქალაღი; უყდო; ბოლო ნაკლული; მხედრული; 1878 წ.; შემოსული 1945 წ.

დასაწყისი: წმიდა მთა ათონისა შეიქმნა ღირსი წილ-
ხდომით საქადაგებლად სახარებისა ყოვლად წმიდის დედოფლის
ქალწულის ღმრთის მშობელისა მისის უტყუველის აღთქმისა გამო.

წყედება: და მოვალს დრო, ოდესაც ესე კიდიდან კიდემდე
ჩრდილო და სამხრეთიდგან.

შენიშვნა: ფ. 2v მოთავსებულია აპოკრიფის ნაწყვეტი. დასაწყისი:
პარასკევსა დღესა, ეამსა პირველსა დღისასა შექმნა ღმერთმან ადამ მიწი-
საგან.

ანდერძავგარი: უხენაესი მფარველობა ათონაზედ ანუ მოთხრობანი წმიდა-
თა სასწაულთმოქმედთა, ათონასა შინა დიდებით გამოჩინებულთა დედისა
ღმრთისა ხატთა და სხვათა წმიდათასა. გამოცემული მეორედ და გადასწორებული
34 ქვაზედ მოჭრილის გამოხატულის სახეებითა, რუსულიდამ გარდმოღებული ქა-
რთულად მღვდლის ა. ბაქრაძისაგან 1878 წელსა (დაბეჭდილ წიგნთა შორის არ
სიანს).

შენიშვნა: ხემოდ აღნიშნული ხელნაწერი შეუწირავს სვეის ღვთის-
მშობლის ეკლესიისათვის მღვდ. ალექსი ბაქრაძეს.

670

გამოქრებულნი სიტყვანი

116 ფ.; 21,5X17; ლურჯი ქალაღი; ყდიანი; ბოლო ნაკლული;
მხედრული (სათაურები და თავასობები წითური); 1804 წ.; შემოსულია
1943 წ.

1. სათაური: სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი, ფრიად
სარგებელნი სულ სხეულობით ორ კერძოჲს, ძუძლისა და ახლი-
სა, წმიდათა წერილთაგან რჩევით გამოკრებულნი, — კლემაქსისა-
გან და დიდისა ვასილისა, გრიგორი ღვთისმეტყულისა და
იოანე ოქროპირისა და მამისა ეფრემისა და მაქსიმესი და ცხოვ-
რებისაგან მამათასა და სხუათა წმიდათა მღვდელთმოდლუართა,
მამათა, მოციქულ-წინასწარმეტყულთა, სოლომონ და ზირაქისა
და გარეშე წიგნთა პლატონ, სოკრატ და მენიანდროს და სხუათა
ფილასოფოსთა მიერ თქმული.

დასაწყისი: კლემაქსისა. ყოველთა, რომელთა ენებოს და
ეძიებდნენ ღმერთსა, ეპოების მათ, რამეთუ იგი არს ყოველთა
ღმერთი და ყოველთა ცხოვრება.

ბოლო: რამეთუ არა უწყი, თუ რაჲ იყოს ბოროტი ქვეყა-
ნასა ზედა დასასრული ყოვლისა სიტყვისა, ისმინე, ღვთისა გეში-
ნოდენ და მცნებანი მისნი დაიცვენ (ფ. 1—42).

ანდერძი: აღიწერა წიგნი ესე სამეცნიერო ბრძანებითა ბაქარ საქართვე-
ლოსა მეფისა ვახტანგისა ძისათა. მრავალ ჟამიერ ყოს უფალმან წელსა მარტის
(ეს ყოფილა დედნის ანდერძი).

2. მოკლედ სიტყვის გებასოკრატისი, სწავლა პირველი თარგმნილი და სხვათაჲ ფილასოფოსთა რუსულისაგან ქართულს ენაზედ ერასტი თურქისაგან (!).

დასაწყისი: კეთილის კაცისა წესი არ არის—კაცს პირში აქებდეს და უკან კი სძრახვედეს.

ბოლო: ამისთვის ნეტარ არს, რომელმან პოოს სიბრძნე. ამისთვის გიყუარდეს კეთილი წერილთ კითხვა, რამეთუ განაგრგნობით (?) შემოქმედსა ყოვლისასა, რომელსა შეენის დიდება, პატივი და თაყვანის ცემა საუკუნითგან უკუნისამდე, ამინ (ფ. 43—92).

3. მოკლედ გამოსახსნელი ამბავი წიგნი მეორე რომის კეისრებისა, სხუათა მეფეთა, მთავართა და მხედართა მთავრობისა.

დასაწყისი: ივლიანე კეისარი ერთხელ ნაეში იჯდა და დიდი ლელვა აღუდგა ე(გ)რეთ, რომ თვით მენავეთ მოძღვარი იგი დიდად შეშინდა.

ბოლო: და უმჯობეს გამოვარჩივე უმცირესი ბოროტი ამით გამოაჩინა, რომე საკვირველ არს ქვეყანასა ზედა დედაკაცი კეთილი (ფ. 93—116v).

მიწერილი: სოლომონ მსაჯულისაგან მიწერილი დადიანის შვილთან.

დადიანის ძის ძე ნიკო,

ტურაჲ, მელის კუდის რიკო;

დადიანობას ვინ მოქცემს, უნდა ბეგრის ღომი სწიკო;

ქართულათ წამოგაწვინო, ხუთი ექვსი ჯოხი გდრიკო;

შე გვარისა მარცხინალო, დაბალისა ჯორის ბზიკო.

დადიანის ძის ძე ნიკო სიბრძნითა ვარ იანბიკო;

სიცრუვისა ღრამატიკო, ვგრე როგორ გაეიტლიკო;

ეშმაკათგან საარშიკო არ გაქეს ცნობა, ლეკის ტრიკო;

თავი როგორ მოგიდრიკო, შე რომ ბევრი იტიკტიკო.

რა რჯული ხარ, ა(რ) ვიცი, ლეკსი შენც თვე (!) არ იცი;

სიბრძნეს ჩემობ, მყარად მჩანს, ვით დაბჭლი ჯორის კვიცი,

ერთგულობის ფიცი იცი, არვის ახსოვს დანამტიკიცი;

თუ სიბრძნითა ცაცა იცი, რუსეთს იქმენ ვითა ბიცი.

ეს ორი ხანა დადიანისძისაგან არის მიწერილი სოლომონთან.

უკანასკნელ ფურცელზე (ფ. 117) მიწერილია სხვა ხელით:

დასამტიკიციებლად ქმნილთა შრომათა ჩემთა

აღექსე სახელნი, რომელ საცნობად სხვათა.

ვინათგან ეს არს წესი შრომის მოქმედთა.

იცანთ კიდურნი ერისთოვის ძისანი,

თვთ ბუნებითათ არაგვის სამთავროსანი.

სხვა ხელით: აღიწერა წიგნი ესე დიოლონესი წელსა.

1804-სა მაისის ე-სა.

• Сия книга принадлежит князю Давиду Эристави.

შენიშვნა: თავფურცელზე მოთავსებულია პირები წერილებისა, რომელიც მიუწერია ნაპოლეონ ბონაპარტეს ალექსანდრე პირველისადმი და უკანასკნელის საამისო პასუხი (ფ. 17).

671

ვაჩაკლისი წმიდა მარინესი

41 ფ.; 6 x 5,4; ქალღი; დაზიანებული ყდით; ბოლო ნაკლული; დაზიანებული; მხედრული (სათაურები წითურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1945 წ.

დასაწყისი: სახარება მარინა... ულ მოწამისა; ლუკ[ასა]გან წმიდისა სახარებისა საკითხავი.

წყდება: და წიალთა აბრამისთა მკვიდრ გყოფს ნუგეშინის ცემისა.

672

ლოცვანი ზიარებისანი

177 ფ.; 7,5 x 4,6; ქალღი; ყდიანი; თავნაკლული; ნუსხური (სათაურები და თავსოები სინგურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1945 წ.

იწყება: უთესლოსა მიდგომილებისა შობასა წინასწარ იტყვი მკვობელი—ალლილუია.

ბოლო: ზამეტუ შეცოდებანი ჩემნი დიდ არს, არამედ უფროსად ძალ გიცი და გარდამეტებად წყალობათა შენთა.

შინაწერი (ფ. 176r): დაიბადა დავით ორბელიანის (ნიკოლოზ) პატარა ბიჭი თვესა სექტემბერსა 18 დღესა სამშაბათსა, დღისა იყო გასული სამი საათი, შუალამიდგან 9 საათხედ, ქორონიკონსა ფია-სა. მთვარე იყო 25-ისა დღისა (მხედრულით სხვა ხელით).

673

მანანა

65 ფ.; 20 x 15,5; ქალღი; ყდიანი; მხედრული (სათაურები და თავსოები სინგურით, თავსოები ასომთავრულით); 1823 წ.; შემოსულია 1945 წ.

დასაწყისი: წიგნსა ამას ამისთვის ეწოდების მანანა, არამეთუ სავსე არს ყოვლითა სიტკბოებითა სულიერითა.

ვითარცა მეცა ზეცით ლუთისა მიერ მანანა ისრაილთა უდაბნოსა ზედა, რომელთაცა არა აქუნდათ პური, ესეცა მანანა არს

ზოცემულ გამოსაზრდელად სულისა, რომელთა არა აქუსთ კეთილი.

წმინდის მარიამისათვის.

აღსდევ, უფალო, განსასუშნებელად შენდა, შენდა კიდობანი სიწმიდისა შენისა.

ბოლო: მრავალმოწყალე ღმერთი ღირს გვეყოფს პოვნად სასუფეველსა თვისსა მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედისა მისისათა და ძლიერებითა პატროსნისა ჯვარისათა და წმიდათა ანგელოზთათა და იოანე ნათლის მცემლისათა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მინაწერი (უკანასკნელ ფურცელზე 64r ტექსტის ხელით): 1823-სა წელსა. უღირსი ნიკოლაოს (64r).

674

მოთხრობათა კრებული

82 ფ.; 21X17,2; ქალაღი; ყდიანი; მხედრული; 1851 წ.; შემოსულია 1945 წ.

1. მოუღალავი მოთაძაშე ანუ გრძნეული მუზიკანტი.

დასაწყისი: ერთსა მოიჯარადრესა ჰყვანდა მოსამსახურე. ძრიელ ერთგული და შრომის მოყვარე (ფ. 2r—4v).

2. კოროლი ანუ მეფე დიდის წვერითა (ფ. 5—8r).

დასაწყისი: იყო ოდესმე დიდი კოროლი, რომელსაცა ჰყვანდა ქალი.

3. მშვენიერი ქალი და ლომათ გარდაქცეული კნიაზი (ფ. 8—13).

დასაწყისი: იყო ოდესმე ერთი ვაჰარი, რომელსაც ჰყვანდა სამი ქალი.

4. ოქროს ფრინველი (ფ. 14—18).

დასაწყისი: ერთსა მეფესა ჰქონდა მშვენიერი ბაღი, რომელშიაც ედგა ხე, მომცემი ოქროს ვაშლებისა.

5. ძველნი ზღაპარნი, შესაქცევენი ყრმათათვის და ყოველთა ასაკოვანთათვის, გადმოღებულნი ფრანკუზის ენიდამ (ფ. 19—21).

დასაწყისი: მიმი. ერთსა სამეფოსა შინა სცხოვრობდა ერთი საწყალი მეწისქვილე, რომელსაც ჰყვანდა მშვენიერი ქალი.

6. მეთევზე და ცოლი მისი (ფ. 22—24).

დასაწყისი: ერთი მეთევზე სცხოვრობდა ცოლითა თვისითა ორმოში მახლობლად ზღვისა.

7. ძალი და კივკავი (ფ. 25—26).

დასაწყისი: სამწყემსო ძალსა ჰყვანდა ასეთი პატრონი, რომელიც სულ ყურს არ უგდებდა და მშიერს ინახავდა.

8. მეფე ოქროს მთისა (ფ. 26—30).

დასაწყისი: რომელსამე ეპარსა ჰყვანდა გაეი და ქალი
ჯერ ისევ მცირეწლოვანი.

9. (თავი არ აქვს, ფ. 31—33) [საღდათი და ქალები].

იწყება: შვილები დარჩნენ ცარიელნი, ვერა გაიგეს რა.

ბოლო: იმავე დღესვე დაავირგვინა, გარდუხადა ქორწი-
ლი და მიიღო მემკვიდრეობაცა საღდათმა კოროლისა.

10. განზელ და გრეთელი (ფ. 34—37r).

დასაწყისი: განზელმა ერთხელ დაუქირა თავის დას გრე-
თელს ხელი და უთხრა: მას აქეთ, რაც დედა ჩვენი გარდაიცვალა,
ჩვენთვის არც ერთი დღე ბედნიერი არა გვქონია.

11. დევი სამი ოქროს ბეწვითა (ფ. 38—42).

დასაწყისი: ერთსა საწყალსა კაცსა ჰყვანდა მხოლოდ
ერთი შვილი.

12. პატარა კაცი და საპოენიკები (ფ. 43—44).

დასაწყისი: იყო ერთი პატიოსანი საპოენიკი, ესე იგი ჩე-
ქმების შემეკრავი.

13. ოქროს ბატი (ფ. 45—47).

დასაწყისი: ერთი კაცი იყო, იმასა ჰყვანდა სამი შვილი.

14. კნიაზი ბაყაყი (ფ. 48—50).

დასაწყისი: ერთს მშვენიერს ზაფხულის საღამოს ახალ-
გაზრდა კნიაზნა სეირნობის შემდეგ დაჯდა ერთს ტყეში.

15. ჭრისდრიხ(!) და კატერინა (ფ. 51—54).

დასაწყისი: ოდესმე იყო კაცი, რომელსაც უწოდებდენ
ფრიდრიხათ და ცოლსა მისსა კატერინათ.

16. მოგზაურნი მუზიკანტები (ფ. 55—57).

დასაწყისი: ერთს მწყემსსა ჰყვანდა სახედარი, რომელიც
დიდხანს ემსახურა, მარამ სიბერისგან აღარ შეეძლო სამსახური.

17. მადრიელნი მხეცნი (ფ. 58—60).

დასაწყისი: რომელმანმე კაცმა წააგო სულ ერთიანად
თავისი ფული და მცირედის რაოდენობითა ფულისათა გაბედა
მოგზაურობა ყოველს ქვეყანაზედა.

18. სამი გაბედნიერებული ძმა (ფ. 61—63).

დასაწყისი: ერთი მოხუცებული კაცი იყო, რომელიცა
გრძნობულობდა სიცოცხლის დასრულებასა.

19. დედუფალი ფუტკართა (ფ. 64—65).

დასაწყისი: ორნი კოროლის შვილები წავიდნენ ერთხელ
საძებნელად ქვეყანაზედ ბედნიერებისა.

20. ეორიდა და ეორინდელნი (ფ. 66—68).

დასაწყისი: ოდესმე იყო სასახლე აღშენებული საშუალ
დიდისა და თვალმიუწდომელის ტყისა.

21. სამი სარტყელი (ფ: 70—80).

დასაწყისი: ეამსა მეფობისასა დიდის კნიაზის ვლადიმირი-
სასა კიევის ახლო ნაპირსა ზედა მდინარის დნეპრისა მარტოს
ქობში სცხოვრობდნენ სამნი ახალგაზრდა ქალები.

შენიშვნა: მე-30 ფურცლის შემდეგ აკლბა 2 ფურცელი
(ძველი ნუმერაციით გვ: 59—62).

შინაწერი: (ფ. 68r): ეს სასიამოვნოთ წასაკითხი წიგნი ზღაპრისა ეკუთვნის
კნენისა სალომე სიღამონოვისასა, მირთმეული სახსოვრად თავადის ნიკოლოზ სი-
ღამონოვისაგან, ჩუნა წელსა დეკემბრის კდ-სა დღესა (ტექსტის ხელით, მხედ-
რულით).

675—678

გადატანილია სომხურს კოლექციაში

679

ახალციხური ძრონიკა

4 ფ.: 22×17; 22×8,5; 18×11; ქალაქი; უცხო; მხედრული; XIX ს-ის
ბოლო (ხელის მიხედვით); შემოსულია 1945 წ.

დასაწყისი: 1783 (წელს) 29 აპრილს ფაშამ დერბაზები
მოიყვანა. 16 თიბათვეს ფაშა ბათუმის სამთლიან ფაშას მიეგება.

ბოლო: (1829 წ. 20 იანვარს) აქარელი შემოადგა ახალცი-
ხეს. ტერ სტეფან აბინიანის დღიურიდამ.

შენიშვნა: ქრონიკა გადმოწერილია ივანე მესხი გვარამაძის მიერ.

680

კონდაკი

79 ფ.: 17,5×13; ქალაქი; ყდაში; ბოლო ნაკლები; ნუსხური; XVI ს
(ხელის მიხედვით); შემოსულია 1945 წ.

დასაწყისი: ლოცვანი ერის განტევებისანი დიდებულთა
დღესასწაულთანი.

ვიწყნარე პათიოსანი ძლუნნი ქებისა და შენ მხოლოსა შემს-
გავსებული, ყოველად წმიდო ღმრთის მშობელო.

წყდება: და შემდგომად მოიღოს გინგილ მღვდელთ მთავარმა, ჯუარი დასწე... (ფ. 1r—79r).

მინაწერები: 1 ქ. მოიხსენე, ღმერთო, სასუფეველსა შინა სვიმონ გურგენიძე, მეუღლე მისი თინათი(6) არაბიძის ქალი ამიერ და უკუნისამდე, ამინ ფ. 23r მხედრულით, მე-17 ს-ნის ხელით).

2) ღმერთო, მოიკსენე ცხონებითა ცოცხლებითა ოთარი ხოშტარია სასუფეველსა შინა, ამინ და კირალესო (ფ. 23r, ნუსხურით, მე-18 ს-ნის ხელით).

3) ღმერთო, მოიხსენე თველა ტურაბე[ლიძე] (ფ. 28v; მხედრულით მე-17 ს-ნის ხელით).

4) ქ. მოიკსენენ, უფალო, სასუფეველსა შენსა ქუტი ჩიქოვანი სულით, ამინ (ფ. 29v, ნუსხურით, მე-17 ს-ნის ხელით).

5) ქ. ღმერთო, მოიკსენე მარიამ ყრუვაშვილი... ამინ (ფ. 29v, მხედრულით, მე-17 ს-ნის ხელით).

6) მოიკსენე, უფალო, ლტინისასჯ(ა)რ ბაბალასშვილის ქალი (ფ. 30v, მე-17 ს-ნის ხელით).

7) ამ კონდაკისა მადლო, შეიწყალე ცოდვილი ფრიად ორანე ორსავე ცხორებასა შინა, ამინ (ფ. 34r, ნუსხურით, ტექსტის ხელით).

8) მოიხსენე, უფალო, სასუფეველსა შენაა კიკინაძის ქალი ქეთევან, ამინ. (ფ. 52r ნუსხურით, მე 18 ს-ნის ხელით).

681

წმ. გიორგის წამება

42 ფ.; 21 x 18; ქალღმერთი; უყდო: ბოლო ნაკლული; მხედრული; XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1945 წ.

იწყებდა:... იმ ძნელსა გაკვირვებასა

შენ მიეცი ძმის მკულელი, არა აქუს ღუთისა ნებასა,

...ყოველი ჯოჯოხეთის ცეცხლთა გზნებასა.

წყდებდა: წინა აღდგომად გექნები სატანჯველს ურიბრიგითა (?)

და ვერ მომირჩები, ნუ ცდილობ შენ ხერხითა და გრიგითა.

682

ლოცვა დიდ მარხვისა

12 ფ.; 20 x 15; ქალღმერთი; უყდო (დაშლილი); თავნაკლული; მხედრული; 1818 წ.; შემოსულია 1925 წ. ახალციხის კათოლიკეთა საეპარქიის ეკლესიიდან.

დასაწყისი: რომელმან შეჰკარ ზღვან სიტყვითა ბრძანებისა შენისათა, რომელმან პურობილ ჰყვენ უფსკრულნი.

ბოლო: უფალო, შენ შემეწყალენ ღვთის მშობლის მეოხებე-
თა და სხვა (ფ. 1r—11v).

ანდერძი: ამ ნაწერს ვაცხადეფ მე... (დამიწერია წელთა მაისს 15 1818-
(ფ. 11v).

683

ქრეპული

154 ფ.; 22×18; ქალაღი; უყდო; თაებოლო ნაკლული; მხედრული-
(დაწერილი სხვა და სხვა ხელით); XVIII საუკ. (ხელის მიხედვით); შემო-
სულია 1945 წ.

1. ვეფხის ტყაოსანი.

დასაწყისი: იყო არაბეთს როსტევეან მეფე, ღუთისაგან
სვიანი,

წყდება: ვაჟ, სოფელმან სოფელს მყოფი ყველა დასვა ცრე-
მლთა დენად.

2. როსტომიანი. იწყება: მოეწონა საფალავნოდ შემოქმედსა-
თაყვანისცა.

წყდება: მაზედ ხენი ამოვიდეს, ყოველს ნაყოფსა ისხემდეს,
ფურცლად ესხა პირის სახე, შიაშთა მას უხმობდეს.

684

ჯატიკი

5 ფ.; 19,7×15,5; ქალაღი; უყდო; თაებოლო ნაკლული; ნაწყვეტი-
ნუსხური (სათურები და თავასოები სინგურით: თავასოები ასომთავ-
რულით); შემოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

იწყება: ...ენ და მოწაფეთა ერუშნე და მშვიდობა მიანიქე-
მათ, რომლისათვის გევედრებით, რათა ჩუშნცა მოგვმადლო, რო-
მელნი აღდგომასა შენსა საღთოსა დიდების ვმეტყულებთ.

წყდება: რამეთუ ძეძვისა წილ აღმოგიცენდეს სარო და
[ლე]ღვისა წილ მურტი და იყოს უფალი სახელად და სასწაუ-
ლად შენდა საუკუნოდ.

685

ჯიარაზის ღოცვანი

7 ფ.; 22×16; ქალაღი; უყდო; თაებოლო ნაკლული; ნუსხური (სა-
თურები და თავასოები წითურით, თავასოები ასომთავრულით); XVII ს.
(ხელის მიხედვით); შემოსულია 1946 წ.

იწყება: შეეგებოდა, არცა მოიძაგე მწიკლოვანი იგი პირი-
მისი. ამბორს უყოფდა ყოვლად წმიდათა ფერქთა შენტა.

წყდება: რომელმან არა გარე მოაქციე მსგავსად ჩემსა ცოდ-
ვილი იგი მეძაგი შეგვივრდებოდა, რათა და...

686

სწავლა-მოკლგვანი

6 ფ.; 22,5×16,5; ქალაღი; უყდო; თაებოლო ნაკლული; ნუსხური
(თავასოები ასომთავრულით; თავასოები და სათაურები სინგურით);
XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან
(იმერეთი).

იწყება: ...ნი ყოვლისგან შეგინებისაჲ სინანულისა მიერ
ლეთიე მონიკებულისაჲ, ძმანო და მამანო, შეგაწუხნა თქუენ წყლუ-
ლებამან ფერჯისა ჩემისამან.

წყდება: რამეთუ რა ჟამს ივინი შევიწყნარნეთ, იცით, გი-
ნალათუ რაჲ შეგუწმთხუცვის...

687

ღვთისმშობლის მიძინების აკოჰრიფი

9 ფ.; 22×14,5; ქალაღი; უყდო; თაებოლო ნაკლული; ნუსხური
(თავასოები ასომთავრულით და სინგურით); XVI ს. (ხელის მიხედვით); შე-
მოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

იწყება: ...რვედ სავანეთა მათ საუკუნეთა ძისა შენისათა,
რამეთუ შენ გაქუს მშკდობაჲ და ღიღი წყალობაჲ.

წყდება: და უკმადა აღებად სანატრელისაჲ მის გვამისაჲ:
ცხედრითა დასვენებად საფლავსა, ხოლო ყოველნი იგი წმიდან-
მოციქულნი და სხუანი იგი მათთანი მოშიშ იყვნეს და ვერ იკად-
რებდეს.

688

ანღრია სალოსის ცხოვრება

118 ფ.; 25×17; ქალაღი; უყდო; მხედრული (თავი სიტყვები წი-
თური); XIX ს-ნის პირველი ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსულია
1946 წ. მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

სათაური: ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა ანდრია-
სი, რომელ იქმნა სალოს ქრისტეს ღმრთისა; გვაკურთხენ, მამაო.
დასაწყისი: ძმანო ჩემნო საყვარელნო და მამანო უფლი-
სანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუწყო, რამეთუ არს საქმე
ტკბილ ვითარცა თაფლი.

ბოლო: ტიროდა მწარედ, გამოვიდა მიერ იგი და წარვიდა
იპოდრომისა მახლობ ფოლოცსა მას ბნელსა დაბურვილსა და აღე-
სრულა მშვიდობით.

განსრულდა, დიდება ღმერთსა.

689

ზეპირსიტყვაობითი მასალები

125 ფ.; 22×17,3; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1915 წ.; შემო-
სულია 1946 წ.

1. ანდაზები, გამოცანები და ლოცვები, შეკრებილი სოფ-
შუქრუთში (ფ. 1—2).

დასაწყისი: ასმა მგელმა ნედლ ხეს შეყუველა და ფოთო-
ლი გაუხმო.

2. ლოცვები (ფ. 3).

თვალის ლოცვა.

დასაწყისი: სახელითა ღვთისითა, მამისათა, ძისითა და
სულისა წმიდითა, ამინ. ურბი და ქრისტე ღმერთი რჩივ ბურთობს
მოედანსა.

3. ანდაზები და ლექსები, გაგონილი სოფ. ჩიხაში.

დასაწყისი: ხატს შეეპუე და თავი ძლიერი (გ)ეგონებაო.

4. ლექსი, გამოთქმული სოფ. კალუათაში ბასილა კაპანაძისა-
გან თჳის საცოლეზე (ფ. 4v—5r).

დასაწყისი: ლერწამივით ამოსულო,

კობტა ქალო მაიარ,

დაქრიალობ ნიავეით,

გემჩატება ტანიაო.

5. სოფლელებისაგან გამოთქმული ლექსი ბასილაზე
(ფ. 5v—6r). დასაწყისი: ეს ბასილა კაპანაძე,

გიჟია და კეუა თხელი,

შეიყვარა ბარისუნები

ნამეტნავად პატარძლები.

6. გაგონილი სოფ. ჩიხაში (ფ. 5v—6r).

დასაწყისი: ქალბატონო? რა ბძანე, ჩემი ქოჩორა წიწილა-
მად არის?

7. მოსწრებული სიტყვა (ფ. 6v—7r).

დასაწყისი: ერთი აზნაურიშვილი შეხვდა ყმას და
ჰკითხა: ბიჭო, ბატონი გყიდის და რავე გინდაო? იმან იცისო, მიუ-
გო ყმამ.

8. ანდაზები, წარმოდგენილი დოკუმენტი ზიხაძის მიერ (ფ. 7r).

დასაწყისი: თუ გინდა რომ მოიხვექო
სახელი და დიდებაო,
უნდა გქონდეს შენზე სუსტის
შებრალება რიდებაო.

9. ზღაპრები, ანდაზები და გამოცანები, გაგონილი და შეკ-
რებილი სოფ. წყალშაეში (ფ. 7v—12v).

დასაწყისი: იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე,
რომელსაც ეზმანა საზმარი, რომ ზეციდგან რხმალი იყო გადმო-
კიდებული ვადით.

10. სოფლური ლექსები, შეკრებილი ალექსანდრე ხარაძის
მიერ (ფ. 12v—16r).

დასაწყისი: ზამთარი ჯოჯოხეთია,
ზაფხული არის სამოთხე.

11. ანდაზები (ფ. 16v—17r).

დასაწყისი: 1) ეს აქლემი მისთანა აქლემია, შენს კარებ-
ზეც დაიჩოქებსო.

2) ლექსები, შეკრებილი ვლ. გოგოლაძის მიერ (ფ. 17v—21v).

დასაწყისი: უპილატესო ხემწიფე, ნათესაო მაღლა ლეთისა.

12. ანდაზები და ზღაპრები, გაგონილი სოკუელს კაცხში
(ფ. 21v—22r).

დასაწყისი: ცხენს წყალში ფეხს ჩააყოფინებენ და გინდ
დალიოს და გინდ არა.

13. სოფლური რწმენა თამარ დედოფლის შესახებ (ფ. 22r
—23v).

დასაწყისი: თამარ დედოფალი ყოფილა ობოლი. ერთხელ
თურმე დედინაცვალმა მწყემსად გაგზავნა.

14. ჯორის ფეხი—ადგილის სახელია (ფ. 23).

დასაწყისი: მცხეთის ეკლესია, კაცხის და გელათის—ერთ
დროის აშენებული ყოფილა.

15. შელოცვები (ფ. 23v—24r).

დასაწყისი: უცხო მინდორსა უცხო ხე იყო, უცხო ფრი-
ნველსა ბუდე შეედგა.

16. ჩუიე წელს .ს. შროშაში (შორაპნის მაზრა) არჩილ გვე-
ლესიანის მიერ შეკრებილი ზეპირსიტყვაობა (ფ. 24r—29r).

ა) გამოცანები.

დასაწყისი: შევიხედე სერზედაო, ვერძი ბრუნავს ცერ-
ზედაო.

ბ) ლექსი:

დასაწყისი. ბროლი შეედე ლალსა ზედა ბროლსა ზედა
მინაშქარის.

გ) ლოცვა.

დასაწყისი: შე გილოცავ თვალისასა, უმალ ჩემი თავი-
სასა.

დ) ლოცვა (ზნისა).

დასაწყისი: ბერო, ბერო, ბედნიერო, ტურფაო და მშვე-
ნიერო,

მოხვალ მარგალიტივითა, გაქარდები ქარივითა.

ე) ზღაპარი (ნამდვილი ტყუილი).

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, ერთხელ ამ კაცმა
დააპირა სადღაც გამგზავრება.

17. ანდაზები, გამოცანები და შელოცვები, შეკრებილი ვლ.
გოგოლაძის მიერ (ფ. 29v—30v).

დასაწყისი: მცხარე ძმარი თავის ქურქელს გახეთქავსო.

18. ლექსები და შელოცვები, გაგონილი სოფ. სვერში ევგ.
ღვალაძის მიერ (ფ. 30v—32v).

დასაწყისი: ქოროლლის ლექსი.

ქალი ამიტყდა, ამიტყდა წამიყვანე საყოლასა,

ქოროლლი შემოგვეყარა მუხნარის განაპირასა.

19. გამოცანები და სხვა, ჩაწერილი დ. პატიეიშვილის მიერ.
(ფ. 33r—42).

ა) გამოცანები.

დასაწყისი: პატარა და უჰ! (რწყილი)

ბ) ანდაზები.

დასაწყისი: რაც რგებია სახლსა შენსა, არ გადავა კარსა
შენსა.

გ) ბოზი ღვდილი.

სოფლის გალექსილი სოფელ ნადაბურში მომხდარი.

დასაწყისი: ისტორიას მოგახსენებთ

სიმართლით მოფიქრებულსა,

განცხადებას, ქადაგებას,

სიტყვას ლექსად შეწყობილსა.

დ) გამოცანები.

დასაწყისი: ერთი რამა სულიერი
გამხტომი არის ფეხისა,
ლაგამსა ვერვინგ ამოსდებს
ამ ჩენი წუთი-სოფლისა.

ე) ანდაზები.

დასაწყისი: ცულ მუშას შემოდგომაზე მოუკვდება გული.

20. ანდაზები გამოცანები და ლოცვები, შეკრებილი სოფ.
შუქრუთში, შორაპნის მაზრაში (ფ. 43—45).

ა) ანდაზები.

დასაწყისი: იერუსალიმში ვირი კიტრად იყო და ჯორი
საგძლად უნდებოდაო.

ბ) გამოცანები.

დასაწყისი: წიწი, წიწი; წიწი ვაშლი; ზედ ასხია მწერილი
ვაშლი, არც იქმება, არც ისმება, არ ზედა შეისვლევნება.

გ) ლოცვები:

თვალზე თეთრის ლოცვა.

დასაწყისი: გოლგოთასა მთაზედა ურიები წაიჩხუბენ.

დ) ანდაზები.

დასაწყისი: ცუდსა მეთევზეს შერჩება უბრალოდ წყალ-
თა მღერევენი.

21. გამოცანები, ჩაწერილი ივ. გომელაურის მიერ (ფ. 46—47).

დასაწყისი: ერთი რამ უცხო ფრინველი

მთას მოადგება გმირულად,

თავს ხურავს წითელი ქუდი,

ტანთა აცვი ბერულად.

22. გამოცანები და სხვა (ფ. 48—53r).

ა) გამოცანები.

დასაწყისი: ხე ვარ ხე ბრუნდი, გაზრდილი დილაზე,
ადრე მობრძანდი, თუ ვერ გაქამო სადილი (ლელვი).

ბ) ბატონყმობის გადავარდნაზე გაგონილი სოფ. ჯალაურთაში.

დასაწყისი: დიდება და მადლი ღმერთსა.

რო ბრძანება იქნა ღვთისა,

ადამ ევას დაებადა,

სამი ვაჟი სახე მზისა,

ბ) (ბატონათ ვერ დაუდგები):

იმ შენი დედმამის შვილსა

შეექნათ განყოფილება.

გ) ლექსი.

დასაწყისი: ორი ობოლი და ძმანი

მებატონემ დააშორა.

23. ლექსები და სხ. (დაბა ხაშური, ქართლი).
დასაწყისი: 1) ქართლელები ლომსა ჰგვანან,
ჯავახელები ტახსაო.
კახელი კაცის კირიმე,
მეფეს ანაცვლებს თავსაო.

ბ) ანდაზები.

დასაწყისი: ხემა სთქვა: ჩემი ძმა მკრის, თორემ სხვა რას.
დამაკლებდაო.

24. ანდაზები და სხ. (სოფ. შროშა, შორაპნის მაზრა, ფ. 537—56).

დასაწყისი: ანდაზები:

ა) ყვავმა ყვავს წაძახა: შენც ყრინტ და მეც ყრინტო.

ბ) ლექსები:

დასაწყისი: იმერელის სიძე ვიყავ, ნიადაგ ქარი ქროდაო;
არცა რა მე მუჟტანე, არცა რა იმას ჰქონდაო.

25. ლექსები, ივ. გომელაურის შეკრებილი (ფ. 56—63).

1) დასაწყისი: დაპნეულ ფეტვის მარცვალსა
რა აჰკრეფს წიწილის მეტი?

2) დასაწყისი: იმერელის სიძე ვიყავ, ნიადაგ ქარი
ქროდაო,
არცა რა მე მიუტანე, არცა რა იმას ჰქონდაო.

ვ) ანდაზები (სოფ. შროშა).

დასაწყისი: აზნაური მკადს არა სკამსო,
თუ მოშივდა, კირს მომკამსო.

4) ლექსები (ხაშური).

დასაწყისი: ქართლელები ლომსა ჰგვანან,
ჯავახელები ტახსაო.

5) ბატონების ნანიჩა (სოფ. შროშა).

დასაწყისი: ამ ბატონების დედასა უდგია ოქროს აკვანი,
შიგ უწევს ბატონიშვილი, უსხია ოქროს ქოჩორი.

6) ლექსები ჩაწერილი სოფ. წინამძღვრიანთ-კარში.

დასაწყისი: ა) მამძაღლმა ალიხანმა შეჰყარა დიდი ჯარია,
ორპირ აამსო ქიზიყი, ხელთ მიჰსცა წინა-მხარია.

ბ) თათრის ჯარი წამოვიდა, ალაზნის პირს მიადგესა.

გ) წავკისი და ტაბახმელა ორივე ღმერთმა დაანელა.

დ) ჰაი ზაქარო, ზაქარო, შე საცოდაო საწყალო.

ე) რისთვის წახველ ზარდაოსა.

ვ) შავ და უკულმა ისა დღე.

ზ) ის პეტრია და ყველია პაპას მაცრათა ჰყოლია.

წ) შენ ყველაშვილის პეტრიავე.

- თ) ლალაზაშვილი კიკოლა
მამასახლისი ძველია.
- ი) დალოცვილი გულაკოვი
დადის ლეთის სამართალზედა.
- ია) მამაძალმა აღიხანმა
შეიყარა დიდი ჯარი.
- იბ) ღმერთმა თქვა, სვეტმა ცხოველმა,
მცხეთას აშენდეს ქალაქი.
- იგ) თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ძირს აღარ დავიდე.
- იდ) ვაი, რა ძნელი ყოფილა
ამ სოფლიერი ცხოვრება.
- იე) წუხელი სიზმარი ვნახე
აღმოსავლეთის მთაშია,

26. თუშური ლექსები და სხ., ჩაწერილი ივ. გომელაურის
მიერ (ფ. 64 — 120, მოგვყავს დასაწყისები).

- 1) ჩემთა* სურვილთა საზღვარნი
უფალს არ გაუჩენია,
სიკვდილ-სიცოცხლე ტიალი
კაცის თავს დაუწერია.
- 2) ვერ გაიგეთა, ფშავლებო,
ციხე წაგექცათ ქვისაო.
დიდი ხნის წარსულს ამბობენ,
ქარშიგან ბიჭურისაო.
- 3) იოსებს ხარანაულსა
საწყინარს ეტყვის მხარიო,
ძმასა ეტყოდა გიორგის,
იორს ჩაეველოთ თვალიო.
- 4) ქალ კიკი ლოელაურო,
თმა გრუზო, კოწოლ წითელო.
- 5) ქალო ლალო და ლამაზო,
ცაში მსრომელო კიბითა.
- 6) ქალ, ქისტეთს გაგათხოვებენ,
ქალმები გინდა რკინისა.
- 7) (კახო ჩაგიძის ნათქვამი)
რკინა ბეერი მომდიოდა,
ცოტა-ცოტა მოვაკელი.

- ცოტა ცოტა შაუმატე,
 ცოლი გამომყვანდა ჩემი.
- 8) ქალი ატირდა ლამაზი
 . ბუსურმნის უზღდისაო,
 რათ გამაჩინა დედმამამ,
 სახე რად მომცა მზისაო.
- 9) ღმერთო, რა დიდი ბრალია
 არევა ქალაქისაო,
 სიკვდილი ნეფე ერეკლის
 საწყინარია ღვთისაო...
- 10) თავდაპირველია ღმერთი,
 ძვირად ღვთის უხსენებელი;
 ჯერ მოკვდა, მერე გაცოცხლდა,
 იესო ნაზარეველი.
- 11) ვინ აგაშენა, მანგლისო,
 წყარო, ვინ გადინ მილითა.
- 12) შენ, ზეზვაგ გაფრინდაულო,
 მოკლე ხარ, თუშო, ენითა.
- 13) ლეკების ჯარი მოვიდა,
 გზა მოიტანეს კლდიანი,
 არ იყო შეალამეი,
 კეროს (სოფ.) დაიწყეს კრიალი.
- 14) თუ რასმე მკითხავ, გიამბობ.
 ამბავსა ყაჩაღისასა,—
 სამგორში შავიყარენით,
 სამზღვარსა მუხრანისასა.
- 15) (გამოცანა)
 ეინა სთქვა შენი დაღევა,
 გამთეთრებელო მთისაო!
 პატრონის გამლაგებელო!
 გამჯავრებელო მტრისაო!
- 16) მაჩხაანში ქალი ენახე,
 იმან წაიღვ თვალის ჩინი...
- 17) თუშეთშივე ჩაწერილი ლექსები 1892 წ.
 — პართენ ჩარხოშვილის ჩანაწერი.
 აღსდევ, გმირთ გმირო, ნუ გძინავს,
 მტერთა ისმიან ხმანია.

- 18) უბისს ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპაჰანს დავდე ბეგარა, სტამბოლს ავიღე ხარაჯა:
- 19) მთებს ნიავი აწუწუნებს.
ომებს ვამსგავსებ შტრისასა,
კლდენი დაიდურის, იქცევა,
შილინგს ჰგავს ხირიმისასა.
- 20) (მითხრა როსტომ ბაიადემ).
მთასა შეხედე მშრალია,
კალას ჩამოწვა ზვავია,
თუშთა გაღესეს ხმალია,
ყველამ გამართ აბჯარია.
- 21) (საბა პარჩოშვილის ნათქვამი).
ალვანსა ყვავის ყორანი
ძირს არა ჯდება ბანზედა.
- 22) ღმერთო, ათასი მადლი შენ,
ამ დროსა შევეყარია,
შაბათს შაყრილი ცოლქმარი
ორშაბათს გავეყარია;
- 23) (ნათქვამი გაბრიელ ჟოდორიშვილისაგან)
დაიდრა, გამოიმართა
დიდი ბურუსმნის ჯარია,
გულხადარი ბელადად ჰყავს
ალაზანს ჩამომდგარიო.
- 24) ხმა გატყდა შირაქის ქედზე,
თულებთ დაგეტაცეს ცხვრებით
- 25) (ლაზარე ბეროშვილისა).
ერთსა ლექსსა მოგახსენებთ,
თულა დამიგდებთ ყურსაო;
ლექსია, არცა ლექსია,
ლექსია ტირილისაო.
- 26) ჩემთა სურვილთა საზღვარი,
უფალს არ გაუჩენია.
- 27) თუშო, ვინ ზიხარ გაღმა ხევს,
ჯავრს ვინსა გონობ შტრისაო;
- 28) ხოსოში გაზრდილ ორ ვაჟ-კაც
მჯობები ერთკვადისაო (ერთმანეთისა),
ადგნეს, გავიდეს შტროლთაში (ჩაღმა თ.უშეთში სოფელია);

- ადეკი, ომავ, ველად გავიდეთ,
ჯავრსა ვერ შევკვამ მტრისაო.
- 29) ჯერ არა არის მისთანა,
სახმელეთოში მზისთანა,
საკმელად პური და ყველი
სანელად მარილისთანა.
- 30) ღმერთო, რათ შემკმენ,
რალათ დამბადე,
სიკვდილის ძალა
რალათ დამდეგ მე.
- 31) ვინ ჩადგა ჩვენთა ცოდვაში,
ვინ დაგვიბნელა მზენია,
ობრად დაგვიგდო სახლ-კარი,
მოგვიდევა ცეცხლის გენია.
- 32) აბესალომ და ეთერი (თუშეთში ჩაწერილი).
მურვან, მურვან, შენსა მზესა,
შენი ცოლი რა ფერია?
— რასა მკითხავ, ცათა სწორო,
ცოლის ქება აუგია.
- 33) მინდორ მინდორ მოდიოდენ
ამირან და ძმანი მისნი.
- 34) ერთს ადგილას სამი კაცი
წყლისა პირას ჩამოსხდება.
- 35) სახლის გვერდ ერთი ხე მედგა,
ზედ ვხნავდი, ზედა ვთესავდი.
- 36) დაიბარეს კუნძულელი,
წინ სუფრა გაუშალესა.
- 37) სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს—
სიცოცხლე, ჩემი ყმა ხარო.
- 38) კითხულობდიან ალვანში
ხმასაო შირაქისაო,
რატომ არ მოდის ამბავებ,
ამბავებ ივრის მხრისაო.
- 39) ფასოს ლექსი.
ყური მომიგდეთ, მსმენელნო,
მოგაგონო ჩემი ბედი,
ან რისაც ვიყავ მონატრე,
ან რისა მქონდა იმედი.
- 40) ხალხური „დიმიტრი თავდადებული“
(თუშეთში ჩაწერილი).

ყური მიგდეთ, ამბავ გეტყვით
უტყუარსა და მართალსა,
ერთი ნეფე თურმე ყვანდა
უწინ ჩვენ მამაპაპასა.

- 41) დაროსა და გიოს ლექსი.
(გაგრძელება).
ლურსმით მოლურსმულია...
დასაჯდომლათ დავიხედავ,
წინ ლურსმანი დამიხედება,
ფეხზე როდემდინ ვიდგები.
- 42) ტიმოთე ბექურიძის ნათქვამი.
შავ ჩოხავ, წითელ პერანგავ,
ცხენსა ვინ უცვლი ადგილსა;
თავ აქეთ გამოიბრუნე,
ცრემლით ნუ მამკლავ ყმაწვილსა.
- 43) ბიჭო, ქალის მოიმედო,
პერანგი გეცოს ჯაქვისა.
- 44) ნისლები დასივებულა,
არ მოდის ავდარიო,
ღრუბლებს ჰქონდათ ყრილობა;
ავარჩიოთ ქალიო.
- 45) არა მწადიან შინ შესვლა,
რა ლამაზი ხარ, მთვარეო.
- 46) მოყმეო, დედამც მოგიკედა,
ჩენი სოფლისიმც იყვიდი.
- 47) მაყოსნო (მოყვასნო?), ჩემი ღროება
რა კარგათ გავატარეო,
თექვსმეტი წლის ქალი ვიყავ,
რომ მიწას მივებარეო.
- 48) დედამც მოგიკედებ, მოყმეო,
ობლათამც გაიზარდები;
ნუცამ ქალი გეშოვება,
უცოლოთა დაბერდები.
- 49) მეზუნებოღნენ შენს ქებას,
მე არ მეჯერებოდაო.
- 50) აღარ გიხდება ქალობა,
ქალო, უქმარო რათ ხარი?

- 51) ჩამობურულან ღრუბლები,
არ აპირებენ ღარსაო.
- 52) (ფშაური).
ბაზარზედ შამომეყარა,
ცნობა მინდოდა სიმისა.
- 53) მე შენეული ლაშანი (ნიშანი),
წყალსა გამოყვა თანაო.
- 54) ჩვენ რომ გვიყვარდეს ერთკვადი (ერთმანეთი),
რაიმ აჯაერებს სხვათაო.
- 55) მძიმე ვარ, მძიმეთ მოვდივარ,
მძიმე ვარ ნამუსიანი.
- 56) ედენდელო, ვარდის კონაე,
უკნობელო ალვის ხეო.
- 57) ახ რა მიყვარხარ, ლამაზო,
რა ნაი(რ) მომიკალ გულიო.
- 58) მინდორს ხე დაიქცა ალვისი,
თავს დაიხვია ფურცელი.
- 59) ჩვენს იქით ტრიაკ (ტრიალ) მინდორსა
ია და ვარდი ფენია.
- 60) თეთრათამ ქორათ მაქცივა,
მალამ დამაგდო მთაზედა,
ქალო, შენი საქმარე
ნეტაე მაჩვენა გზაზედა.
- 61) დრო ისა სჯობდა, ქალო,
შენთან ძილით რო ვძლებოდი.
- 62) გეტყვით და გეტყვით ლექსებსა,
ლექსისაგან ულექსოსა,
კუწულელ ლექს მოგახსენებთ,
ჩიგ ჩავატან გამჩენელსა.
- 63) ნეტავი კი არ მიყვარდე,
გულზე არ მედვე ცეცხლათა.
- 64) ქალო, კმარს რათ არ შაირთამ?
არ გასაზდელო, რას ელი?
- 65) ქალ, გუშინ, გუშინწინათა,
დღედა რას გიჯავრდებოდა.
- 66) ახლოს მოდ, ჩემო მოყვარევ,
გან ჩემ კმარ გაგიჯავრდება.

67. მანამ ქალი ვარ, გაჯავრებ,
 არ დაგიღევდი ჯავრსაო.
- 68) ქალო, შენ კიკინოელო,
 თმა გრუზო, კოწო (ნაწნაეი) წითელო.
- 69) შაირები (ფ. 121ა—125); დასაწყისი:
 შევესწარ ცისა გახსნასა,
 მასკელავის დამყარებასა,
 თუ მაგისმეტი არ იცი,
 ნეტა ჩემ გახარებასა.

სათაურად პირველ გვერდზე: ზეპირ სიტყვაობის შემკრების წრის რეეული, 1915 წ. დ. კიათურა.

მინაწერი: ქ. კიათურაში, სადაც მე 12 წელიწადს ვიყავ ქართული ენის მასწავლებლად (1905—1917 წ. წ.), ხსენებულ წელს შევადგინე წრე, რომლის წევრებსაც ჩემთან ერთად შექმონდათ თავიანთ სოფელში გაგონილი ზეპირ სიტყვიერების ნიმუშები. იქიდან წამოსვლის შემდეგ მე გავაეცე რეეული ჩემი შეკრებილი ლექსებით და ანდახებით.

ი. გომელაური 25/X 1944 წ.

690

ქუართხეჰანი

20 ფ.; 17 x 12,5; ეტრათი; უყდო (დაშლილი); თაე-ბოლო აკლია: ფრაგმენტები, ნუსხური; XIV ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

იწყება: შენვე, მეუთეო... ალაორძინენ ესე, უფალო ღმერთო ჩუენო.

წყდება: ბოროტთა გარ... აღვიდეს და ...გან იპოოს მუნ, არამედ ვილოდენ.

მინაწერი (ფ. 18 რ, ნუსხურით დაახლოებით მე-17 ს-ნის ხელით): ქ. ღმერთო, შეიწყალე ამის შემკრველი გიორგი სილაგაძე და იხსენ ჯოჯოხეთის ბნელისაგან, შეეწიე დღესა განკითხვისასა.

691

აჰოქრიფი ღმრთიხმუოგლის მიცვალებაჯე

16 ფ.; 15,5 x 10,5; ქაღალდი; უყდო; თაებოლო ნაკლული; ნუსხური; XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

იწყება: იგინი ვაქურთხო, ვადიღო და ავაშალო ყოვლად საგალობელი სახელი წმიდაჲ შენი.

წყდება: მეგულებოდა ჩემზედა, ღრუბელი დადრკა და აღ-
მიტევა და წამსა შინა ვპოვე აქა ანდრია, იაკობ, ფილიპე, ლუკა,
სკმონ. თქუეს: ჩუენ სამოთხეს ვიყვენით.

692

ჟანგ-გულანი

401 ფ.; 15,2×11; ქალაღი; შგკრული; დაზიანებული ყღით; თაებო-
ლო ნაკლული; ნუსხური; XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1946 წ.
მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

იწყება: ... ხოვნე მე, შორს არს ცოდვილთაგან ცხორე-
ბაჲ, რამეთუ სამართალნი შენნი არა გამოიჩინეს.

წყდება: თუა ცის სარტყელი გამოჩნდეს, აღმოსავლეთს
ისპანი და დასავლ...

693

ღიდის პარასკევის სწავლა-მოკლვარებანი

77 ფ.; 16,5×10,2; ქალაღი; ყდაში; ნუსხური; XVIII ს. (ხელის მი-
ხედვით); შემოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

სათაური: ღიდსა პარასკევსა საკითხავი ჯუარცმისათჳს
და დაფლვისათვის უფლისაჲ ჩვენისა იესუ ქრისტესისა, თქმული
ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი ნიკომიდიელ მთავარეპისკოპო-
ზისა. მამაო, გუაკურთხენ.

დასაწყისი: მალალსა და აღმატებულსა სახილველსა აღი-
წია ქადაგება იგი სახარებისა.

ბოლო: ხოლო მათ მოიღეს ვეცხლი იგი და ყვეს, ვითარ-
ცა ისწავეს მათგან და განი(თ)ქვა სიტყვაჲ ესე ჰურიათა შორის
ვიღრე ღღეინდელად ღღედმდე.

მიწაწერი: ეს საკითხავი ღიდს პარასკევს ათორმეტზე მეცხრე ჟამის სახა-
რების წაკითხვის უკან უნდა წაკითხონ, სახარებაზე უნდა მოაბან. ამისა შემდგო-
მად: ნუ მიმცემ ჩვენ სრულიად.

სრულ იქმნა ღიდებად ღმრთისა, ამინ.

ამ ხელნაწერში შემდეგი საკითხავებია:

1. ჯუარცმისათჳს ქრისტესისა, გიორგი ნიკომიდიელისა
(ფ. 1r—41r).

2. ვნებისათჳს მაცხოვრისა, იოანე ოქროპირისა (ფ. 42—54v).

3. ვნებისათჳს და სიკუდილისა იესუ ქრისტესი, ანანია ებრა-
ელიისა (ფ. 55r—76v).

მიხეილ საბაშვილის იუმორისტული ცხოვრება

2 ფ.; 35,5 x 22,3; ქალაღი; უყდო; დუშთაერებელი; მხედრული; XX საუკ. (ხელის-მიხედვით); შემოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან. (იმერეთი).

სათაური: ცხოვრება და მოღვაწეობა ღირსისა მამისა ჩვენისა და წმიდათა შორის საკვირველ მოქმედისა მიხეილ საბაშვილისა.

დასაწყისი: მიხაკო სენნია საბაშვილის ძე ერთობ მარდი და ცელქი ბიკი გამოდგა. თუ სადმე შეახლებდა რაიმე მოსაპარავს, არაფერს არ გაუშვებდა.

წყდება: ყველაფერში დაქნილი იყო და ვერც აკადემიელ-უნივერსიტეტელი მოუდგებოდა მას ამ მხრით. გაიძვერა, ნამდვილი ფარისეველი, ბრუნდის სწორედ, მტყუანის მართლად და მართლის მტყუანად მომჩვენებელი. შეატყო რა თავისს სამრევლოს, როგორც მთის ხალხს (მეტეი არ არის).

შესხმა დამით აღმაშენებლისა არსენი მონაზონის მიერ

1 ფ.; 31,5 x 25,2; ქალაღი; უყდო; ნუსხური; XVIII ს-ნის ბოლო (ხელის მიხედვით); შემოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

დასაწყისი: ქ. მეფესა დავითს მონაზონი წინამძღუარი მღვიმის არსენი.

ამათდა მომართ რაჟსა იტყვი, რაჟსა სიბრძნის მოყვარეობ შენ, უფროსად ბრწყინვალეო, თუალო ყოვლისა სოფლისაო მეფეთა ერთგვამოვნობისა.

ბოლო: რათა შენ მიართვნე ესენი ღმერთსა და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობის მოყვარე უფალი.

მინაწერი (მხედრულით): ოდეს მეფეთ მეფემან აღმაშენებელმან დავით კრება შეჰკრიბა ქართლით რუისსა და ურბნისს შუა რომ მინდორი არის, ძქ და რომელნიც უწესოდ მცხოვრებელნი ეპისკოპოსნი იყუნენ, ამერნი თუ იმერნი, ისინი კეთილად განსწავლნა და უდაბნოებთა შინა დაადგინნა ყოვლითურთ უნაკლულოდ და მონასტერთა შინა მოღვაწეთა მეუდაბნოეთა მამათა მალალ ღირსთა მოუწოდა, და ესენი აკურთხნეს ეპისკოპოსად, და ამათ მიანიჭა და არწმუნათ ეპარხიანი (1) სამღვდელთმთავრონი, რომელნიცა მიმსგავსებულ იყუნენ წმიდათა მოციქულთა და ამათ მაგიერ მოძღუარი მეფისა დავითის და წინამძღუარი მღვიმისა არსენი ამა ზემო ნაწერსა შესხმასა და მადლობასა მოახსენებს მეფესა წმინდასა დავითს აღმაშენებელსა.

ხვეუღად: იოანე მღვიმელი..

საგალოვანი

4 ფ.; 34,5×22; ლურჯი ქაღალდი; უყდო; ბოლო ნაკლული; მხედრული (სათურები წითურით, თავასობები ასომთავრულით და წითურით) XVIII ს-ნის ბოლო (ხელის მიხედვით); შემოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

სათური: თვესა იანვარსა ა გრიგორი ღვთისმეტყულისა ეპიტაფიად ვასილისსა, სტიხოსნი, იროიკონი, პარაფრასნი ნიკიტა ფილოსოფოსისანი.

დასაწყისი: ეპა ქრისტეს მოყვარეო და მსახურა და მონაო მისო, ერთგულო ვასილი, ვგონებდი, ნუ თუ უკუშ და ქორცნი, თვნიერ სულისა, სცხოვდნენ, ვიდრეღა მე თვნიერ შენსა.

წყდება: მაშინ ჰკრეა წმიდამან ვასილი მოქცევად უფლისა ღმრთისა ჩვენისა და ჰკრეა მას: მნებაეს, არამედ ვერ შეესძლებ. ჰკრეა მას—რამსთეს.

696

სწავლა-მოძღვრების წიგნი

40 ფ.; 22×18,5; ქაღალდი; უყდო; თავბოლო ნაკლული; მხედრული; XIX ს-ნის II ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

იწყება: წაერთო მეფობის ხარისხი. დავით მეფე იმისათვის დასაჯა ღმერთმან, რომ ური ქეტელს ცოლი წაართვა და თვითონ ური ქეტელი თავის სარდალს მოაკვლევინა.

ბოლო: მაშინ ღმერთი განარჩევს ცოდვილს მართლისაგან და მართალს დაუმკვიდრებს სასუფეველის ნეტარებას, ხოლო ცოდვილთა წარაღვენს საუყუნო სატანჯველშიდ.

უკანასკნელ გვერდზე მოთავსებულია: მითხარ შენ, ებრაელთა დღესასწაული რამდენი არიან და ან რომელს დღესასწაულს რომლის სახსენებლათ დღესასწაულობენ? ებრაელთა ხალხმან იციან დღესასწაულნი შემდეგნი... (წყდება): ...იციან დღე კარვობისა სეკდემბრის დამლევს სახსენებლათ ორმოცის წლის მოგზაურობისა.

697

ქაბული

22 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1888; შემოსულია 1946 წ. მღვიმის მონასტრიდან (იმერეთი).

1. სათაური: მოკლე თხზულებანი ესე ეკუთნის სამონაზნოს მღვიმის დედათ მონასტრისას ვედუქია ისიდორეს ასულს 1888 წელსა ივლისის თ რიცხვსა.

ა) ჯვარცმა ქრისტესი.

დასაწყისი: ურიათ გმეს და უარ-ყვეს უფალი ტკბილი იესო, მათ მისი სწავლა-მოძღვრება არაფრად მიიჩნისო (ფ. 1—3).

ბ) გზა დაებნა დავითს და ევედრებოდა ღმერთს.

დასაწყისი: დიდება შენდა, დიდება სახით მზეთა მზეო, მიუწვდომელო ნათელო, გრძელო ძველო დღეო (ფ. 3r).

გ) ხარება ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა.

დასაწყისი: ქალწულმან მარიაჲმან წმინდათ თავი ატარა, ყოვლის კარგი საქმითა თავი ღმერთსა აყვარა (ფ. 4).

დ) შეცოდება პირველის კაცის ადამისა და მწუხარება მისი მასზედ, რომ მან შეცოდა და შეიქმნა ცოდვილად.

დასაწყისი: ადამს ჰკითხეს, რატომ სტირი, რომ სწუხ, რა გაქვს სამწუხარი (ფ. 5—8).

ე) წარღვნა ქვეყნისა და ნოეს კიდობნიდგან გამოსვლა.

დასაწყისი: ადამის ტომთა, კაცთ ძეთა ძენი, იყვნენ ზოგზოგნი კვეიან(ნი), ბრძენნი (ფ. 9—16).

3) სულის ჩივილი მასზედ, რომ კაცი ბოროტი ანებიერებს და ეფერება მიწა შესაქმელ ხორცს და არ ზრუნავს სულისათვის.

დასაწყისი: დაბადებიდგან მე კაცის სული, მღწეთს პირით გამო ვარ გამოსული (ფ. 17—23).

ზ) სულზედ და ხორცზედ ნათქვამი ლექსი.

დასაწყისი: ხორცია მიწა ტალახი, საწუთროს ფეხით ნალახი (ფ. 24).

ც) ჩვენ უნდა ვაქოთ იგი, ვინც შექმნა თელი ქვეყანა და ყოველივე.

დასაწყისი: ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო, ღმერთი მაღალთა შინაო (ფ. 25).

თ) მოსვლა გლახისა მდიდართან სათხოვნელად და განწყურება მდიდრისა მასზედ, რომ ის სათხოვდა წყალობას.

დასაწყისი: თხოვა გლახისა.

გამიკითხე, მდიდარო, ღმერთი შენც გაგიკითხავს,

და შენ ყოველ ცოდვებს არა რას გაგინიკითხავს (ფ. 26—34).

2. ა) ანდერძი დავით გურამიშვილისა, როდესაც მან იგრძნო სიკუდილის ეამი.

დასაწყისი: აღარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი.

ბ) დავით გურამიშვილის ლექთაგან დატყვევება, როდესაც თავს ადგა მუშას თავის ყანაში. თვითონ ილტოზის მთასთან დაიპირეს დავითი და კიდევაც შეიპყრეს და წაიყვანეს.

დასაწყისი: მე დაწვრილებით მოგახსენებთ მტყვევდ ჩემსა წამოყვანასა.

გ) დავით გურამიშვილმა სთხოვა მლუდელს, რომ ნუ გამოართმევთ ქირისუფალს მეტს, რაც არ შეეძლოს, ანუ რაც რიგი არ იყოს.

დასაწყისი: მლუდელო, რაც ღმერთმან მაღლი მოგმადლა, არც აგიწონა, არც განგიადლა.

დ) ტირილი დავით გურამიშვილისა თავის სიკრძილის დროს.

დასაწყისი: გული ღონდება,
ვიწყო გოდება,
ბორგნა ბოდება,
რაც მაგონდება (ფ. 34—40).

3. ლექსი, თქმული მარგანეციის თაობაზედ სოფელს ქიათურაში ჩუპწ წელშიდ, შედგენილი ბესარიონ ვაშაძესადმი.

დასაწყისი: მე მსურს დავიწყო რამე თქმა გამოჩენილს მადანზე,

ბევრი კაცი ააღელვა, მეიყვანა მადანზე (ფ. 41—43).

შინაწერი (ტექსტის ხელით): მოკლე თხზულებანი ესე დაწერა მოსწავლემ ქალაქ ჭუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის ბესარიონ იაკობის-ძემ ვაშაძემ ჩუპწ წელსა, ივლისის თ რიცხვსა (ფ. 43).

698

ღმთისმშობლის ღაუჯდომეჲი, საგალოგლები

50 ფ.; 19,5 x 15,5; ქალაღი; (უკანასკნელი ხუთი—ღურჯი); ტვიფრული ყდიანი; ნუსხური; XVIII ს-ნის II ნახ (ხელის მიხედვით); შემოსულია 1846 წ. მღვიმის მონასტრიდან (იბერეთი).

დასაწყისი: ზესთა მბრძოლისა ჩემისათჳს და მოლუაწისა უძღვეელისა, ვითარცა შენ მიერ ქსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა შევსწირავთ, ღმრთისმშობელო ქალწულო, შენდა მიმართ მონანი შენნი.

ბოლო: დედოფალო, მოხედენ ვედრებასა მონათა შენთასა და გჴსნენ შენ ყოველთა განსაცდელთა და სნეულებათაგან.

შინაწერი: 1) ამ ქორონიკონში ფასობდა სიმინდი თორმეტ მარჩილათ. ჩუ ათ-სა წოენბრის იე-სა (ფ. 49v მხედრულთით).

2) ქ. ლვინობისთვის იგი მიიღვალა მარამ ქრისტეს აქეთ ჩყე.

ფოთი აიღეს ნოენბერს იგ ქრისტეს აქეთ ჩყთ.

მაისის ია მეფე სოლომონ წაიყვანეს რუსებმა ტფილისს და ახალციხეს გაეპარათ ქრისტეს აქეთ ჩყი.

ამ ქორონიკონში ილო(ი) შიმშილობა დიდი, თორმეტ მარჩილათ ფასობდა სიმიდი (ი) კოლ(ი) კაცში(?) ამდენი. ამ წელიწადში(ი) გაჩდა ეამი ჩიხ(ა)ს, გაწყვიტა მრავალი (ფ. 50r, მხედრულით, მეტად ცუდის ხელით).

699

შახნი

181 ფ.; 19,5×13,5; ქალღვრი; ხის ყდიან ტყავგადაკრული; ბოლო-ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით, თავასობები ასომთავრულით და სინგურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1946 წ. წირქვალის ეკლესიიდან.

დასაწყისი: მთაწმინდელნი ანუ ქართველნი, რაემს ძილი ვსაგან აღდგეს, ვიდრე ეკლესიად მოვიდოდეს, ამას ხოლო ლოცვასა იტყუან).

აღდგომილნი ძილისაგან შეგივრდებით შენ, სახიერო, და ანგელოზთა გალობასა გიღალადებთ შენ, ძლიერო.

წყდება: მოვედ ჩემ შორის და წმიდა მყვენ მე და მასწავენ მე, რათა ვყო ნება შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი უფალი და სული შენი სახიერი მიძლოდენ მე ქუეყანასა.

700

გადატანილია ხომხურს კოლექციაში

701

ქრებული

7 ფ.; 35,8×22; ქალღვრი; ხუცო; მხედრული; XIX ნახევრისა (ხელის მიხედვით); შემოსულია 1946 წ.

1. ღიზიკებრ დამტკიცება მყოფობისა ღმრთისა.
დასაწყისი: ზენათ ზენარი, ყოვლის მქმენარი,
უერცე, უზომო და უხილველი,
ყველგან მყოფელი, დაუშრომელი
და უსხეული ყოვლის მპყრობელი.
ბოლო: მაშინ ის მინონ ჭმა ბუნებისა,
ხელი განიპყრან ცათად საყდრისა,

ბლავლონ მას ღმერთსა დავიწყებულსა,
ამა ეამამდე არ ხსენებულსა (ფ. 1r—3).

2. უცნობის უსათაურო ლექსი.

დასაწყისი: ნუ ჰგონებ, სულო, სულო ცაომილო,
ცოდვის ზვირთავან სასტიკ ლელვილო.

ბოლო: განესდევნოთ ჩვენგან ლანდნი მწარენი,
ღმერთსა შეესწიროთ გულნი მყარენი (ფ. 4rv).

702

საბაბს ლავრის მამათა წაშება

12 ფ.; 32×21,7; ქალაღი; უყდო; მხედრული; ბოლო-ნაკლელი; XIX ს-ნის დასასრული ან XX ს-ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1945 წ.; ტექსტი წარმოადგენს დავით გარეჯის X ს-ნის ხელნაწერიდან პოლ. კარბელაშვილის მიერ გადმოწერილს ნუსხას.

სათაური: მარტას ით, წამებაჲ წმიდათა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს ბარბაროსთავან ლავრასა შინა წმიდისა მამისა ჩვენისა საბაბსსა. აღწერა ამა სტეფანე მანსურის ძემან დამასკელმან საბაწმიდას.

დასაწყისი: ჯერ არს უკუე და ღირს და შეჰგავს მათთვის, რომელთა ერთვე პირველად არა განიწმიდნეს თჳენი თვისნი მწინკვლევანებისაგან.

წყდება: და შეერთო იგი წმიდათა მათ და განსრულდარცხვი მათი ოცად, ვითარცა იგი პირველ ორმოცთა მათ მოწამეთა შეერთო მცველი იგი და დაჰბეჰდა მან რიცხუსა მას ორმოცთასა განსრულებითა, არამედ რათა არა ესრე ვის ეგონოს.

703

მე-18 ს-ნის ქრონიკები

32 ფ.; 21,7×18; ქალაღი; უყდო; მხედრული; XX ს-ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1945 წ.; ქრონიკა შედგენილია პოლ. კარბელაშვილის მიერ.

სათაური: მეთერამეტე საუკუნის ქრონიკები.

დასაწყისი: ტმზ—1659 წ. საბა-სულხან ორბელიანი დაიბადა კვირა საღამოს, კდ ლეინობისთვის.

ტაგ—1675. დეკემბრის იე დიბადა მეფე ვახტანგ VI.

ბოლო: ქეთევანს სამასი მორიგე ჯარი ახლდა. თვით ბატონის რძალი ექმნა თავი მხედრობასა, ეწყო ლეკთა და სძლია, მოსწყვიტნეს მრავალნი. გამხიარებულმა ერეკლემ შეიყვანა სძალი თვისი დიდის დიდებითა და ზარბაზნთა სროლითა. იმ ღამეს ქალაქსა იყო ჩირალოვანი.

704

გადატანილია რუსულს კოლექციაში.

705

გადატანილია სომხურს კოლექციაში

706

გადატანილია რუსულს კოლექციაში

707

კატეხიზმო

11 ფ.; 22,5 × 17,4 სანტ.; ქალღი; უყდო; მხედრული (სათურები ასომთავრულით); 1835 წ.; გადამწერი დავ. გაბრიჯაძე; შემოსულია 1950 წ. კონდრატ გაბრიჯაძისაგან.

დასაწყისი: კატეხისი არს შემოკლებული ჰსწავლად, თუ როგორ ვიცნობდეთ ჩუენ ღმერთსა.

ბოლო: განსრულება ესე იპყრობს სარწმუნოებასა ჩუენსა და განმტკიცებასა სასოებისა ჩუენისასა, ამინ.

მინაწერები (ტექსტის ხელით): *Книжка Катехизиса*; დავით გაბრიჯაძე (გვ. 21).

ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი მონა შენი ქამსა განკითხვისასა დავით ნიკოლოზის ძე გაბრიჯაძე, რათა გადიდო მე ცხოვნებულმან მერმისა მის საუკუნესასა, ამინ.

დაიწერა ესე კატეხისმოსი ქალაქსა ტფილისს დავით ნიკოლოზის (ძის) გაბრიჯაძისა მიერ წელსა ჩუელ, თებერვლის კმ. 1936 годა 28 февраля (ასეა გვ. 22).

ჩუელსა წელსა მარტის კზ-სა განმაწესა მე იმერეთის არხეპისკოპოსმა სოფრონიოსმა სვანეთში და ჩავედი იქ მამის გ-სა (თავფურცელზე).

სხვა ხელით: მე ლავრენტი დავითის ძე გაბრიჯაძე განმაწესეს პრიეტნიკათ ოსეთის კოვისიაში ვლადიკავკავის ოკრულის ყოყადურის პრიხოღში 1868 года сего.дня 15-го. ხოლო მეორედ განმაწესეს პრიეტნიკათ ვლადიკავკავის ოკრულის ოსეთის კომისიის სანების (!) პრიხოღში 1879-го года ноября 9-го числа (თავფურცელზე).

კოჩიაშვილი ეპისტოლე

7 ფ.: 17,7×11,7 სანტ.; ქალაღდი; უყდო; მხედრული; გადამწერი დავ. გაბიჩვაძე; შემოსულია 1950 წ. კონდ. გაბიჩვაძისაგან.

დასაწყისი: ხოლო იხილე აბრაჰამისიკა ღეთისა ზიმართ სიყუარული, რამეთუ ისმინე რასა იტყვს.

ბოლო: და ნუ რა რას უფროს მისსა აღვიჩვეთ, რათა საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვენეთ წყალობითა ღუთისა ჩუქნისათა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მანწერი (ტექსტის ხელით): წელსა ჩყლე-სა მარტის იდ-სა დღესა 1835 год марта 14 дня (!) დაიწერა ესე წიგნი თარგმანის რამეულთა ეპისტოლის კაცხის მონასტერსა შინა დავით გაბიჩვაძის მიერ.

ქრებული

47 ფ.: 18×11,5 სანტ.; ქალაღდი; მხედრული; 1838 წ.; გ. დამწერი დავ. გაბიჩვაძე; შემოსულია 1950 წ. კონდ. გაბიჩვაძისაგან.

1. წმ. გიორგის სასწაულები.

დასაწყისი: ვეშაპისა ხელიდამ ქალის გამოხსნა. უწყება საკვირველებათა და სასწაული წმიდისა დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისა. ისმინეთ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, სასწაული, რომელი იქმნა წმიდისა დიდებულისა დიდისა მოწამისა გიორგის მიერ.

ბოლო: ცხონდა იგი (კომსო) ოცდარ წელ და აღიკვეცა მონაზონად და შევიდა მონასტერსა შინა და იღუაწა წასულისა მისთვის და მადლობდა მარადის წმიდასა მას მოწამესა გიორგის და ყოვლად ძლიერსა ღმერთსა აღიდებდა, რომლისა არს პატივი და თაყვანისცემა თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ (ფ. 1—39r).

2. ისტორია ლგ, ბოროტის მდიდრისათვის.

დასაწყისი: იყო მდიდარი, —სთქუა იესომ ოდესმე იგავი — რომელი იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა.

ბოლო: აბრამ პასუხი უგო მას — უკეთუ იგინი მოსესა და წინასწარმეტყველთა არა უსმენენ, მაშასადამე თუმცა ვინმე მკუდართაგან აღსდგეს, მასცა არა უსმენენ (ფ. 39r—40v).

3. ისტორია შობისათვის იოანე ნათლისმცემელისა.

დასაწყისი: ოდეს ელისაბედ[სა] ზედა მოაწია ეამბან გარდაწყვეტისამან ტვირთებისამან, შვა მან ძეჲ.

ბოლო: მამა მისი, აღესებული სულითა წმიდითა, გალობდა საქებელსა გალობასა, კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისა (ფ. 41v—42v).

4. შობისა იესოს ქრისტესისა.

დასაწყისი: აგვისტოს კეისარმან გამოსცა ბრძანება საქმნელად სულთა აღწერისა სოფლად.

ბოლო: ზაქარია მიმოვიდა მუნჯი ტაძრისაგან, დაიწყო უბნობად არა უწინარეს, ვითარცა შვა მისგან ძე იოანე (ფ. 41v—43r).

5. ისტორია ხარებისათჳს.

დასაწყისი: ექუსა თვესა შინა შემდეგ მუცლადღებისა ელისაბედისა წარგზავნილ იქნა ღეთისაგან ანგელოზი გაბრიელ ქალწულისადმი მარიამისა, დამკვიდრებულისა ქალაქსა შინა ნაზარეთისასა.

ბოლო: მე ვარ მხევალი უფლისა, მექმნეს მე სიტყვისაებრ შენისა (ფ. 44r—45r).

6. წესი და განგება ხატის კურთხევისა.

დასაწყისი: მღუდელთ-მთავარმან ანუ მღუდელმან კურთხეულ არსი და იწყონ „მეუფეო ზეტათაო“.

ბოლო: იბ. რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ. მგალობელთა—ამინ და განტეუება (ფ. 45r—46r).

7. ლოცვა კურთხევა[სა] ზედა ჯუარისასა.

დასაწყისი: ასხუროს წმიდა აიაზმის წყალი და დიაკონმან სთქუას: უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ბოლო: დაასვენონ ორმოცა დღე საკურთხეველსა შინა ხატიცა და ჯუარიცა და შემდგომ წარაღონ (ფ. 46r).

8. კურთხევა საფლავისა.

დასაწყისი: მღუდელმან: კურთხეულ არს, წმიდაო ღმერთო.

ბოლო: მღუდელმან ჯუარი დასახოს საფლავსა (ფ. 47).

9. კურთხევა სარეკლისა ანუ ზარისა.

დასაწყისი: მღუდელმან—კურთხეულ არსი, მგალობელთა—ამინ.

ბოლო: ყოველნი მორწმუნენი სახელისა შენისათჳს ღირს ვიქმნეთ წმიდასა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიასა შინა შენსა თაყვანისცემად და ქების შეწირვად შენდა თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე (ფ. 48v—49r).

მანწერა (ტექსტის ხელით): დიდებულ მთავარმოწამეთ გიორგი, შეიწყა-
ლდეთ ფრად ცოდვილი ამ წიგნისა დამწერი დავით ნიკოლოზის ძე გაბიჩუაძე
ჩუღმ წელსა, ე ივლისს.

710

წმ. გიორგის პარაკლისი

21 გვ.; 18×11,3; ქალღი; უცლო; მხედრული (სათურები და
თავი სიტყვები სინგურით, ცალკე თავ-ასუები ასომთავრულით);
1830 წლები; გადაწერილი და. გაბიჩუაძე; შემოსულია 1950 წ. კონდ. გა-
ბიჩუაძისაგან.

სათაური: პარაკლისი სადიდებელი წმიდისა დიდისა მო-
წამისა გიორგისა.

დასაწყისი: მღებდებმან: კურთხეულ არსი, მეუფეგო ზე-
ცათაო.

ბოლო: დედოფალო, ყოვლად ბრწყინვალეო მარიამ, წმი-
დისა გიორგისა ლოცვითა წარგვიმართენ დღენი ცხოვრებისა ჩუ-
ნისანი სადიდებელად ძისა შენისა და ლუთისა ჩუწნისა.

711

ეპისტოლე აგგაროზ მთავრისა

12 გვ.; 18×11,6; ქალღი; უცლო; მხედრული; გადაწერი-
ლია 1836 წლის ახლოს და. გაბიჩუაძის მიერ; შემოსულია 1950 წ. კონდ.
გაბიჩუაძისაგან.

დასაწყისი: ეპისტოლე აგგაროზ მთავრისა ქალაქსა ედგ-
სიისასა, რომელი მიეწერა უფალსა ღმერთსა ჩუწნსა იესო ქრი-
სტესა და წარსცა ანანიასა მიერ მოციქულისა იერუსალიმს.

ბოლო: მეყუსეულად განწმიდნა იგი კეთროვნებისაგან და
მხიარულებით აღიდებდა და აკურთხედა ღმერთსა, ამინ.

მინაწერი: (ტექსტის ხელით): მაცხოვარო, შეიწყალე მო-
ნა შენი და ცოდვილი დავით ნიკოლოზიძე გაბიჩუაძე ეამსა გან-
კითხვისასა, ოდეს მოხვიდე სუფევეითა შენითა, რათა გადილო მე
ცხოვნებულმან ამიერიით და უკუნისამდე. Давид. ამინ (გვ. 12).

712

სინტაქსი

ფ. 9; 22,5×17,5; ლურჯი ქალღი; უცლო; თავბლო ნაკლუ-
ლი; მხედრული (თავასოები ასომთავრულით); XIX ს-ნის დასაწყისი (ხე-
ლის მიხედვით); შემოსულია 1950 წ. კონდ. გაბიჩუაძისაგან.

იწყება: ნაწილი მეორე ლექსთ-თხზულებიანთს.

კითხვა: რად არს ლექსთ-თხზულება ანუ სინტაქსის.

მიგება: ლექსთ-თხზულება (სინტაქსის) არს ნაწილი მეორე ლრამმარტიკისა, მასწავებელი კანონიერისა თანხმობილისა შეერთებისა სიტყვსა ნაწილთასა ურთიერთისა შორის.

წყდება: მიგება: ვნებითი ზმნა არს იგი, რომელიცა იტყოდეს ვნებასა თვისა გარე პირისა ანუ ნივთისაგან. მაგალ(ით)ებრ, მე ვისჯები კაცისაგან და სხუანი.

კითხვა: უმეშტობითი ზმნა რად არს.

მიგება: უმეშტობითი...

713

ანატონ კათალიკოზი — შვინი ძართლის ცხოვრება

67 გვ.; 18,3×11,6; ქალღლი; უყდო; ნხეღრული; 1839 წ.; შე-
